



ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

საქართველო

საპარლამენტო არჩევნები

2012 წლის 1 ოქტომბერი

ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე  
სადამკვირვებლო მისიის

საბოლოო ანგარიში



ვარშავა

2012 წლის 21 დეკემბერი

## შინაარსი

I.	რეზიუმე.....	1
II.	შესავალი და მადლობები .....	6
III.	წინა ისტორია.....	8
IV.	საარჩევნო სისტემა.....	9
V.	საკანონმდებლო სტრუქტურა.....	9
VI.	საარჩევნო ადმინისტრაცია.....	13
VII.	ამომრჩევლების რეგისტრაცია.....	17
VIII.	კანდიდატების რეგისტრაცია .....	20
IX.	საარჩევნო კამპანია.....	22
X.	წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება.....	27
A.	საკანონმდებლო სტრუქტურა.....	27
B.	აღსრულება.....	30
XI.	მედია .....	33
A.	საერთო მიმოხილვა .....	33
B.	საკანონმდებლო ბაზა .....	34
C.	მედია მონიტორინგის შედეგები .....	38
XII.	საჩივრები და აპელაციები.....	41
XIII.	ეროვნული უმცირესობების ჩართულობა.....	45
XIV.	ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები .....	46
XV.	არჩევნების დღე.....	46
A.	საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი .....	47
B.	ხმების დათვლა.....	50
C.	ხმების შეჯამება .....	53
XVI.	არჩევნების დღის შემდეგ განვითარებული მოვლენები .....	54
A.	არჩევნების დღეს შეტანილი საჩივრები და აპელაციები.....	54
B.	არჩევნების დღის შემდეგ განვითარებული მოვლენები .....	56
C.	შედეგების გამოცხადება .....	58
XVII.	რეკომენდაციები .....	59
A.	პრიორიტეტული რეკომენდაციები .....	59
B.	სხვა რეკომენდაციები .....	61
დანართი:	არჩევნების საბოლოო შედეგები .....	65

საქართველო  
საპარლამენტო არჩევნები  
2012 წლის 1 ოქტომბერი  
ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საბოლოო  
ანგარიში<sup>1</sup>

## I. რეზიუმე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით 2012 წლის 22 აგვისტოს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR) 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია (EOM) განათავსა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა შეაფასა საარჩევნო პროცესი რათა დაედგინა თუ რამდენად შეესაბამებოდა ის ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილ სხვა საერთაშორისო სტანდარტებს და ასევე ეროვნულ კანონმდებლობას. საარჩევნო დღეზე დაკვირვებისთვის ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გააერთიანა ძალები ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის პარლამენტის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციებთან.

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის რომელიც შესაბამისობაში მოდის ეუთოს და ევროპის საბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, თუმცა გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხები კვლავ საჭიროებს გადაწყვეტას. არჩევნები კონკურენტული იყო, მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა, მათ შორის მშვიდობიანი ფართომასშტაბიანი მიტინგების სახით, სახეზე იყო. თუმცა საარჩევნო კამპანიის გარემო პოლარიზებული და დაძაბული იყო, იგი მკვეთრი რიტორიკის გამოყენებით და ზოგ შემთხვევაში ძალადობის გამოვლინებით ხასიათდებოდა. საარჩევნო კამპანია ხშირად კონკრეტული პოლიტიკური პლატფორმის წარმოჩენის მაგივრად ერთის მხრივ თანამდებობის და მეორეს მხრივ კერძო ფინანსური რესურსების გამოყენებაზე ფოკუსირდებოდა.

მართალია გაერთიანებების, შეკრების და გამოხატვის თავისუფლება მთლიანობაში პატივცემული იყო, თუმცა პარტიული აქტივისტების დაშინების და შევიწროების

---

<sup>1</sup> ამ დოკუმენტის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. არაოფიციალური ქართული თარგმანი ასევე ხელმისაწვდომია.

შემთხვევები საარჩევნო გარემოს აფუჭებდა, რაც კონკურენტებს შორის უნდობლობის ატმოსფეროს უწყობდა ხელს. ამგვარი ინციდენტები ხშირად ძირითადად ოპოზიციასთან დაკავშირებული საარჩევნო კამპანიაში მონაწილე პირების დაკავებებით ან დაჯარიმებით მთავრდებოდა. სახელმწიფოს აქტივობებსა და მმართველი პარტიის კამპანიას შორის განსხვავება ხანდახან არ ჩანდა, რაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

ახალი საარჩევნო კოდექსი, რომელიც არჩევნების რეგულირების მთავარი საკანონმდებლო ინსტრუმენტია, მთლიანობაში ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, თუმცა მასში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები რჩება, რომლებიც არ შეესაბამება ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებებს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისიის) მიერ მანამდე გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა, მათ შორის პატიმრებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭება, დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ საკუთარი კანდიდატურების წარდგენის უფლება და ქვეყანაში ცხოვრების ცენზის შემცირება. დარჩენილ ძირითად ნაკლოვანებებს შორისაა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არსებული დიდი განსხვავებები, რაც ძირს უთხრის არჩევანის თანასწორუფლებიანობის პრინციპს, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების არჩევნების შემდგომ დისკვალიფიკაციის იურიდიული შესაძლებლობა და პარლამენტში ადგილების განაწილების მეთოდი, რომლითაც შესაძლოა არ იყოს ბოლომდე პატივცემული ამომრჩეველთა არჩევანი. საარჩევნო კოდექსში არსებითი ცვლილებები არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა, რაც კარგ საარჩევნო პრაქტიკას ეწინააღმდეგება.

არჩევნებზე თოთხმეტი პოლიტიკური პარტია, ორი საარჩევნო ბლოკი, რომლებიც სულ რვა პარტიისგან შედგებოდა და ორი დამოუკიდებელი კანდიდატი იქნა დარეგისტრირებული, რეგისტრაციის პროცესი გამჭვირვალე და ინკლუზიური იყო, ამის შედეგად ამომრჩევლებს ფართო არჩევანი მიეცათ. მთლიანობაში 150 საპარლამენტო ადგილისთვის შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით 2,757 კანდიდატი, მათ შორის 783 (28.4 პროცენტი) ქალი, იბრძოდა. გენდერულად უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის ხელშესაწყობად დაწესებული დებულებები ძირითადად არაეფექტური აღმოჩნდა რადგან არჩევნებში მონაწილე სუბიექტების უმრავლესობას მათ შორის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ოპოზიციურ ბლოკ ქართულ ოცნებას, არ წარმოუდგენიათ გენდერულად უფრო დაბალანსებული კანდიდატთა სიები.

მთლიანობაში საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი ნდობა ჰქონდა და იგი არჩევნების მზადების პროცესს პროფესიონალურად და ყველა ვადის დაცვით წარუძღვა. ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) ეფექტურად და გამჭვირვალედ მოქმედებდა, ატარებდა ხშირ შეხვედრებს, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიების წარმომადგენლებისთვის და მედიისთვის. ამომრჩევლების რეგისტრაციაზე ისევე როგორც მედიაზე და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგზე პასუხისმგებლობა სხვა ინსტიტუტებმა აიღეს რამაც ცესკოს უშუალოდ საარჩევნო ადმინისტრირებაზე ფოკუსირების საშუალება მისცა. ცესკომ ქვედა დონის საარჩევნო კომისიების ყველა წევრს ყოვლისმომცველი ტრენინგები ჩაუტარა, რომლებიც მთლიანობაში პოზიტიურად შეფასდა. ქალებმა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა დაახლოებით ორი მესამედი შეადგინეს, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა დაახლოებით ნახევარიც ქალბატონები იყვნენ.

ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაზე და შედგენაზე პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიამ აიღო. კომისიამ სიების გადამოწმების მიზნით კარდაკარის კამპანია ჩაატარა რამაც ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად გაზარდა საზოგადოების ნდობა ამომრჩეველთა სიების მიმართ. თუმცა სამოქალაქო რეესტრს რომლის მონაცემების საფუძველზე დგება ამომრჩეველთა სიები ჯერ კიდევ არ აქვს ყოვლისმომცველი და ერთიანი მისამართების სისტემა, მისამართების განახლების და უწყებებს შორის მოქალაქეთა სამოქალაქო სტატუსში ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ეფექტური მექანიზმები.

უწყებათშორისი კომისია, რომლის მანდატში საარჩევნო კამპანიის დროს წარმოშობილი საჩივრების და ბრალდებების განხილვა შედიოდა, სასარგებლო ფორუმი გამოდგა დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი პრობლემების განხილვისთვის. უწყებათშორისი კომისიის არასავალდებულო რეკომენდაციები დროულად ხორციელდებოდა შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ. ზოგიერთმა რეკომენდაციამ უწყებათშორისი კომისიის ძალაუფლების რეალური მასშტაბების შესახებ გარკვეული კითხვები წარმოშვა, რადგან ხანდახან ეს რეკომენდაციები ამ კომისიის მანდატს სცილდებოდა და ძალაუფლების განაწილების პრინციპს ეჭვქვეშ აყენებდა, მაგალითად ერთი კონკრეტული რეკომენდაციის შედეგად სასამართლოს გადაწყვეტილების განხორციელება იქნა გადავადებული.

კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ) ყოვლისმომცველი მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს

შექმნის მიზნით იქნა შემუშავებული, რომლითაც პარტიების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება იქნებოდა დარეგულირებული. თუმცა ამ კანონში არსებობს შეუსაბამობები, ორაზროვანი დებულებები და არაპროპორციული სანქციები, რასაც მის განხორციელებაზე ნეგატიური ზეგავლენა ჰქონდა. კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ასევე არჩევნების წინ ცოტა ხნით ადრე იქნა შეცვლილი, რაც გაკრიტიკებული იყო ზოგიერთი თანამოსაუბრის მიერ, რადგან მათი აზრით ეს ცვლილებები თანამდებობის პირების სასარგებლოდ იყო მიღებული და მათში პირდაპირი პოლიტიკური ინტერესი იყო ჩადებული. ახალ მარეგულირებელ ორგანოს - სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პარტიების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის განხორციელება დაევა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ფართო დისკრეციული უფლებები მიენიჭა, თუმცა მთლიანობაში მან ვერ შეძლო კანონის გამჭვირვალედ, დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და თანმიმდევრულად განხორციელება, მისი საქმიანობით ის ძირითადად ოპოზიციაზე იყო ფოკუსირებული. ამ მხრივ გარკვეული კითხვები იქნა დასმული, რომლებიც ექვეყნეშ აყენებდნენ სამართლებლივი პროცესის სწორად წარმართვას და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას.

მედია გარემო მრავალფეროვანი იყო. ზოგიერთ კერძო ტელეარხებს ქვეყნის შიგნით შეზღუდული მაუწყებლობა ჰქონდათ, რაც ხელს უშლიდა ამომრჩევლებისთვის მრავალფეროვანი ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობას. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებულმა მედია მონიტორინგმა აჩვენა რომ საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურად დაბალანსებულად გაშუქება მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოახდინა. მონიტორინგს დაქვემდებარებულ სხვა არცერთ ტელეარხს არ ჰქონია დაბალანსებული გაშუქება მიუხედავად იმისა რომ მათ ამისი იურიდიული ვალდებულება გააჩნდათ. ე.წ. Must Carry Must Offer-ის დებულების ამოქმედების შედეგად, რომელსაც მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში უნდა ემოქმედა, ოპოზიციისკენ გადახრილ ტელეკომპანიებს საკუთარი აუდიტორიის გაზრდის საშუალება საკაბელო ტელევიზიებში მათი მაუწყებლობის გავრცელების შედეგად მიეცათ, ამ პრინციპის ამოქმედება პოზიტიური მოვლენა გახლდათ. გარდა ამისა მრავალრიცხოვანი თოქ-შოუების და დებატების მეშვეობით კანდიდატებს საკუთარი შეხედულებების წარმოდგენისთვის რეალური შესაძლებლობა მიეცათ.

მთლიანობაში საარჩევნო დღე ქვეყნის მასშტაბით მშვიდად ჩატარდა და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ პროცესი პოზიტიურად შეფასდა. პროცედურები ძირითადად დაცული იყო, თუმცა ხმების დათვლა და შეჯამება ნაკლებად პოზიტიურად შეფასდა. ცესკომ

წინასწარი შედეგების გასაჯაროება და ოქმების საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნება არჩევნების მეორე დღეს დილით ადრე დაიწყო, რამაც გამჭვირვალებას ხელი შეუწყო.

დიდი რაოდენობით ადგილობრივი დამკვირვებლების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების საარჩევნო პროცესში აქტიურად ჩართვამ გაზარდა ამ პროცესის გამჭვირვალობა. ხელისუფლება ღია იყო მათი მონაწილეობისადმი და მათ მიერ წამოჭრილი ინიციატივების მიმართ. თუმცა არჩევნების დღეს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების წევრები, რომლებიც ადგილობრივი დამკვირვებლებად იყვნენ აკრედიტირებულები, ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკური მიკერძოებულობა გამოავლინეს, ისინი ზოგიერთ საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესში ჩარევაში იყვნენ შემჩნეულნი.

საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს ვადებს და ადგენს დავების სწრაფად გადაწყვეტის და საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების დროულად განხილვის წესებს. ცესკომ ეს პროცესი სარჩელების ფორმის სტანდარტიზაციით მოახდინა, მან ასევე პოლიტიკური პარტიების იურისტებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს დავების გადაწყვეტის თაობაზე ტრენინგები ჩაუტარა და შესაბამისი სახელმძღვანელოები მიაწოდა. წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციაში და სასამართლოებში 236 საჩივარი შევიდა, ხოლო არჩევნების დღეს და შემდგომ სულ 384 საჩივარი იქნა შეტანილი. საჩივრების ძირითადი ნაწილი ადგილობრივი დამკვირვებლების და ქართული ოცნების წარმომადგენლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში იქნა შეტანილი.

არჩევნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მაჟორიტარულ ოლქებში არჩევნების წინასწარი შესაძლო შედეგები გახდა ცნობილი, გარკვეული რაოდენობის საოლქო საარჩევნო ოლქებზე მხარდამჭერთა (კონკრეტულად კი ქართული ოცნების მხარდამჭერთა) ჯგუფების მიერ ზეწოლა განხორციელდა. დაახლოებით 20 ოლქში ქართული ოცნების მხარდამჭერების საკმაოდ დიდი რაოდენობა საოლქო საარჩევნო კომისიების შენობების გარეთ შეიკრიბნენ, რაც ხშირად შესაბამის ოლქებში მათი მაჟორიტარი კანდიდატების მოწოდების შედეგად ხდებოდა. მსგავსი შეკრებები იქნა ორგანიზებული სასამართლოების შენობების წინ, რომლის დროსაც ამ შეკრებების მონაწილეები კონკრეტულ საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ დადებულ შედეგებს აპროტესტებდნენ. ცესკომ და უზენაესმა სასამართლომ დაგმეს აღნიშნული და სხვა მცდელობები, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიებზე და სასამართლოებზე უადგილო ზეგავლენის მოხდენისკენ იყო მიმართული.

14 ოქტომბერს სამი მაჟორიტარული ოლქის 11 უბანზე განმეორებითი არჩევნები ჩატარდა სადაც არჩევნების შედეგები დარღვევების გამო იქნა გაუქმებული. განმეორებითი არჩევნები მშვიდ და მოწესრიგებულ ატმოსფეროში ჩატარდა, თუმცა მათზე დასწრება დაბალი იყო.

ცესკომ პარლამენტის ახალი წევრები 19 ოქტომბერს დაარეგისტრირა. 150 ახალ პარლამენტარს შორის 18 ქალბატონია, რაც წინა პარლამენტთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილი მაჩვენებელია. ახალი პარლამენტის რვა წევრი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები არიან. ახალი პარლამენტის პირველი სხდომა 21 ოქტომბერს პარლამენტის განთავსების ახალ ადგილას - ქუთაისში გაიმართა.

ამ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების მიზანია იმ გზების დასახვა, რომელთა მეშვეობით საარჩევნო პროცესის შემდგომი გაუმჯობესება შეიძლება მოხდეს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მზადაა დაეხმაროს საქართველოს იმ ნაბიჯების გადადგმაში, რომლებიც ამ რეკომენდაციების განხორციელებისკენ არის მიმართული.

## II. შესავალი და მადლობები

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევის შედეგად, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან იქნა მიღებული და ასევე თბილისში 11-15 ივნისს ჩატარებული „საჭიროებების შეფასების მისიის“ დასკვნების საფუძველზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია 22 აგვისტოს განაღვა. მისიაში, რომელსაც ნიკოლაი ვულჩანოვი ხელმძღვანელობდა, თბილისში მომუშავე 16 ექსპერტი და მთელი ქვეყნის მასშტაბით მომუშავე 28 გრძელვადიანი დამკვირვებლები შედიოდა.

არჩევნების დღეზე დაკვირვების მიზნით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის პარლამენტის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციებთან გააერთიანა ძალები. ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის თავმჯდომარე ტონინო პიკულა სპეციალურ კოორდინატორად დანიშნა რათა მას ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიისთვის ეხელმძღვანელა. ლუკა ვოლონტე (იტალია) ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ხელმძღვანელობდა, მილან კაბრნოჩი ევროპის პარლამენტის დელეგაციას



ხელმძღვანელობდა, ხოლო ასენ აგოვი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

არჩევნების დღეს ადგილებზე 42 ქვეყნიდან ჩამოსული 392 დამკვირვებელი იქნა განლაგებული, მათ შორის 290 დამკვირვებელი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გამოყო, 53 პარლამენტარი და პერსონალი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ გამოყო, 22 დამკვირვებელი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გამოყო ხოლო 14-14 დამკვირვებელი ევროპის პარლამენტმა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ გამოყვეს. ხმის მიცემის პროცედურაზე დაკვირვება 3,677 საარჩევნო უბნიდან 1,450 უბანზე განხორციელდა, ხოლო ხმების დათვლის პროცედურებზე დაკვირვება 157 საარჩევნო უბანზე მოხდა. ხმების დაჯამების პროცესზე დაკვირვება 73 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 42-ში განხორციელდა.

მოხდა იმის შეფასება თუ რამდენად შეესაბამებოდა არჩევნები დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ეუთოს და ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებებს, სხვა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს და ასევე ეროვნულ კანონმდებლობას. წინამდებარე საბოლოო ანგარიში 2012 წლის 2 ოქტომბერს თბილისში გამართული პრეს-კონფერენციის დროს გამოქვეყნებულ „განცხადება წინასწარი მონაცემების და დასკვნების შესახებ“-ს ეყრდნობა.<sup>2</sup> აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საპარლამენტო არჩევნების პარალელურად უზენაესი საბჭოს არჩევნებიც გაიმართა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ამ არჩევნებზე დაკვირვება მხოლოდ მათ მიერ საპარლამენტო არჩევნებზე ზეგავლენის კონტექსტში მოახდინა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს სურს მადლობა გადაუხადოს საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის, გარდა ამისა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ასევე სურს მადლობა გადაუხადოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტს, უზენაეს სასამართლოს, უწყებათშორის კომისიას და სხვა სახელმწიფო თუ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს მათ მიერ გაწეული დახმარებისა და კოორდინაციისთვის. გარდა ამისა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ასევე სურს გამოხატოს მადლიერება საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების და

<sup>2</sup> საქართველოსთან დაკავშირებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მომზადებული ყველა წინა ანგარიშის სანახავად გთხოვთ იხილოთ:

<http://www.osce.org/odihr/elections/georgia>.

სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების მიმართ მათი თანამშრომლობისთვის. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ასევე სურს მადლობა უთხრას ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მათი თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

### III. წინა ისტორია

1 აგვისტოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუციის შესაბამისად საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს დაანიშნა. წინა მოწვევის პარლამენტში, რომელიც 2008 წლის 21 მაისს იქნა არჩეული, მმართველ პარტიას - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 150-დან 119 ადგილი ეკავა. გაერთიანებულ ოპოზიციას 17 ადგილი, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და ლეიბორისტულ პარტიას 6-6 მანდატი ხოლო რესპუბლიკურ პარტიას კი 2 მანდატი ეკუთვნოდა. მმართველი პარტიის მიერ მათი აზრით არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად პარლამენტის ორმა მაჟორიტარმა დეპუტატმა, რომლებიც რესპუბლიკურ პარტიას წარმოადგენდნენ, უარი თქვეს საკუთარ მანდატებზე, მათი ადგილი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა 2008 წელს შესაბამის ოლქებში ჩატარებული რიგგარეშე არჩევნების შედეგად დაიკავეს. რამოდენიმე ოპოზიციონერმა პარლამენტის წევრმა პარლამენტის მუშაობის, მათ შორის საარჩევნო კოდექსის შედგენის, ბოიკოტირება გადაწყვიტეს.

საერთაშორისო დამკვირვებლებმა 2008 წლის არჩევნების შესახებ მომზადებულ „განცხადება წინასწარი მონაცემების და დასკვნების შესახებ“-ში აღნიშნავენ რომ „მთლიანობაში ამ არჩევნებმა აშკარად მისცა ქართველ ხალხს საშუალება მრავალი სხვადასხვა კანდიდატიდან აერჩია მისი წარმომადგენლები. ხელისუფლებამ და სხვა პოლიტიკურმა დაინტერესებულმა მხარემ გადადგა ნაბიჯები ამ არჩევნების ეუთოს და ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების მიხედვით ჩასატარებლად.“ თუმცა მისიამ ასევე „აღნიშნა გარკვეული პრობლემები, რომლებმაც ამ სტანდარტების აღსრულება არათანაბარი და არასრული გახადა“. ახალ პარლამენტს მნიშვნელოვნად გაზრდილი უფლებამოსილებები ექნება. 2010 წელს ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით მოხდა პრეზიდენტის უფლებამოსილებების პრემიერ მინისტრის და მთავრობის სასარგებლოდ შემცირება. ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში შემდეგი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა, რომლებიც 2013 წლის მეორე ნახევარში უნდა გაიმართოს.

#### IV. საარჩევნო სისტემა

150 ადგილიანი პარლამენტი ოთხი წლის ვადით შერეული სისტემით აირჩევა: 73 წევრი ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სისტემით აირჩევა ხოლო 77 წევრი კი მთელი ქვეყნის მასშტაბით პარტიული სიით პროპორციული სისტემით აირჩევა<sup>3</sup>. რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებს და ბლოკებს საპარლამენტო ადგილებისთვის როგორც მაჟორიტარული (ერთი კანდიდატი ერთ საარჩევნო ოლქზე) ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით პროპორციული სისტემით (100-დან 200-მდე კანდიდატისგან შემდგარი პარტიული სიებით) შეუძლიათ ბრძოლა. მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატმა ხმების მინიმუმ 30 პროცენტი მაინც უნდა მიიღოს იმისთვის რომ იგი პარლამენტში იქნას არჩეული. თუ ამ ბარიერს ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს, მაშინ განმეორებით არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ის ორი კანდიდატი, რომლებმაც არჩევნების პირველ რაუნდში ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა დააგროვეს. პარლამენტში მოსახვედრად პოლიტიკურმა პარტიებმა და ბლოკებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით ხუთპროცენტის ბარიერი უნდა გადალახონ.

#### V. საკანონმდებლო სტრუქტურა

საარჩევნო კანონმდებლობას შემდეგი ძირითადი კანონები არეგულირებს: კონსტიტუცია, საარჩევნო კოდექსი, კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და საარჩევნო ადმინისტრაციის რეგულაციები. როგორც საარჩევნო სისტემაში ისე საკანონმდებლო სტრუქტურაში არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში<sup>4</sup> მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი, რაც ეწინააღმდეგება კარგ საარჩევნო პრაქტიკას<sup>5</sup>.

საარჩევნო კოდექსში, რომელშიც შესწორებები 2011 წლის დეკემბერში და ასევე 2012 წელს ორჯერ იქნა შეტანილი, გარკვეული რაოდენობის მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იქნა

<sup>3</sup> საარჩევნო ოლქების საზღვრები არსებული ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებს ემთხვევა.

<sup>4</sup> კონსტიტუცია, კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, საარჩევნო კოდექსი, კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ და სისხლის სამართლის კოდექსი მიღებული იქნა და/ან მათში ცვლილებები განხორციელდა 2011 წლის დეკემბერში და 2012 წლის მაისში და/ან ივნისში.

<sup>5</sup> იხილეთ ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის 65-ე პარაგრაფი: [http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD\(2002\)023-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD(2002)023-e.pdf).

გათვალისწინებული, რომლებიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისიის) მიერ მანამდე იქნა გაცემული, მათ შორის ამ ორგანიზაციების მიერ მომზადებულ „ერთობლივ დასკვნაში“ მოცემული რეკომენდაციები<sup>6</sup>. არჩევნებში მონაწილეობის უფლება პატიმრებს პირველად მიეცათ (ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები), დამოუკიდებელ კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ასევე პირველად მიეცათ, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს შეესაბამება. ახალი დებულებების შედეგად ასევე შემცირდა ქვეყანაში ცხოვრების ცენზი და მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა, შემოდებული იქნა ფინანსური სტიმულები კანდიდატთა სიებში უფრო მეტი გენდერული ბალანსის ხელშესაწყობად<sup>7</sup> და გარკვეული შეზღუდვები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე.

თუმცა სხვა მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გათვალისწინება არ მომხდარა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არსებული დიდი განსხვავებები, რაც ძირს უთხრის არჩევანის თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელიც 1990 წელს ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის<sup>8</sup> 7.3-ე პარაგრაფის მიერ არის განსაზღვრული. ამომრჩეველთა რაოდენობა ინდივიდუალურ საარჩევნო ოლქებში 6,000-დან 140,000-მდე მერყეობდა. საშუალო მაჩვენებლიდან მაქსიმალური გადახრა არ უნდა სცილდებოდეს 10 პროცენტს (15 პროცენტს საგანგებო გარემოებების არსებობის შემთხვევაში)<sup>9</sup>. მიუხედავად იმისა რომ 2011 წელს ხელისუფლებამ გაახმოვანა გეგმები საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილების შესახებ, ჯერ-ჯერობით ეს არ მომხდარა.

***ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი კიდევ ერთხელ იმეორებს მის მიერ დიდი ხნის წინ გაუღერებულ რეკომენდაციას რომლის მიხედვითაც საპარლამენტო არჩევნებისთვის მოგვარებული უნდა იქნას ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არსებულ დიდ განსხვავებებთან დაკავშირებული საკითხი.***

<sup>6</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა და ვენეციის კომისიამ საარჩევნო კოდექსის პროექტზე „ერთობლივი დასკვნა“ 2011 წლის 19 დეკემბერს გამოაქვეყნეს, მისი ნახვა ამ ბმულზე შესაძლებელია: [www.osce.org/odihr/86401](http://www.osce.org/odihr/86401).

<sup>7</sup> პარტიებს 10 პროცენტით მეტი სახელმწიფო დაფინანსება ეკუთვნით თუ მათ მიერ წარმოდგენილ საარჩევნო სიებში ყოველ ათ კანდიდატს შორის ნაკლებად წარმოდგენილი სქესის მინიმუმ 2 წარმომადგენელი იქნება შეყვანილი.

<sup>8</sup> იხილეთ „ერთობლივი დასკვნის“ 20-ე პარაგრაფი.

<sup>9</sup> იხილეთ საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის 2.2-ე პარაგრაფი (iv).

გარდა ამისა კანონმდებლობაში კვლავ რჩება დებულებები რომლებიც საჯარო მოხელეებს საარჩევნო კამპანიის და მათი ოფიციალური მოვალეობების ერთმანეთთან შეთავსების საშუალებას აძლევს. ამგვარი მოხელეები, მათ შორის გუბერნატორები, მერები და გამგებლები უნდა ექვემდებარებოდნენ იგივე წესებს რომლებსაც ექვემდებარებიან მოსამართლეები და საარჩევნო კომისიის წევრები და მათ უნდა აეკრძალოთ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა<sup>10</sup>. კანონით ასევე ნებადართულია საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გარკვეული ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება - კონკრეტულად სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული შენობების გამოყენება იმ პირობით რომ ამ რესურსების გამოყენება თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის, თუმცა პრაქტიკაში ამგვარი თანასწორობა შეიძლება იყოს დარღვეული რადგან ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიებისთვის ამ რესურსებზე წვდომა უფრო ადვილია<sup>11</sup>.

გარდა ამისა საარჩევნო სუბიექტებს არჩევნების შემდეგ დისკვალიფიკაციის რისკი ემუქრებათ გარკვეული დარღვევებისთვის, მაგალითად ისეთი დარღვევებისთვის როგორცაა ამომრჩეველთა მოსყიდვა, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება, საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევა და ასევე არჩევნების შემდეგ ნარკოტიკებზე შემოწმების არ გავლა (თუმცა თანამდებობაზე ოფიციალურად დამტკიცებამდე)<sup>12</sup>. აღნიშნული სანქციები ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს.<sup>13</sup>

*რეკომენდირებულია საარჩევნო კოდექსიდან იმ დებულებების ამოღება, რომლებსაც შეუძლიათ იმ არჩეული კანდიდატების თანამდებობაზე დამტკიცებისთვის ხელის შეშლა, რომლებმაც ხმების აუცილებელი რაოდენობა მიიღეს.*

საკანონმდებლო ბაზაში გარკვეული ცვლილებები „ერთობლივი დასკვნის“ გამოქვეყნების შემდეგ იქნა შეტანილი. კანდიდატების მინიმალური ასაკი 25-დან 21-მდე იქნა შემცირებული და ასევე შემოღებული იქნა ერთ ადამიანზე მორგებული დებულებები, რომელთა მიზანი

<sup>10</sup> იხილეთ „ერთობლივი დასკვნის“ 62-ე პარაგრაფი.

<sup>11</sup> Ibid-ის 60-ე პარაგრაფი.

<sup>12</sup> ყველა კანდიდატი ვალდებულია გაიაროს შემოწმება ნარკოტიკებზე ან მაჟორიტარ კანდიდატად რეგისტრაციისას ან პარტიული სიით არჩევის შემდეგ.

<sup>13</sup> ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.9-ე პარაგრაფის მიხედვით წევრმა სახელმწიფოებმა „უნდა უზრუნველყონ რომ ის კანდიდატები, რომლებიც მოიპოვებენ კანონით განსაზღვრულ ხმათა აუცილებელ რაოდენობას, დამტკიცდნენ მოპოვებულ თანამდებობაზე და ნება დართონ დარჩნენ ამ თანამდებობაზე მანამ სანამ მათი უფლებამოსილების ვადა არ ამოიწურება (...)“

იყო საარჩევნო ბლოკ ქართული ოცნების ლიდერისთვის ბიძინა ივანიშვილისთვის ხმის მიცემის და არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის საშუალების მიცემა მას შემდეგ რაც მან საქართველოს მოქალაქეობა დაკარგა<sup>14</sup>. გარდა ამისა საარჩევნო კოდექსი საშუალებას აძლევს იმ პოლიტიკურ პარტიებს ან ბლოკებს, რომლებიც გადალახავენ პარლამენტში მოსახვედრად დაწესებულ მინიმალურ ბარიერს, მაგრამ მიიღებენ ექვს ადგილზე (საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად საჭირო მანდატების რაოდენობა) ნაკლებს მიიღონ დამატებითი ადგილები პარლამენტში რათა მათ შეძლონ ფრაქციების ჩამოყალიბება. მართალია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ამ შემთხვევაში რეკომენდაციას არ უწევს რაიმე კონკრეტულ სისტემას, მაგრამ საარჩევნო სისტემა „უნდა შეესაბამებოდეს [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის] 25-ე მუხლით დაცულ უფლებებს და ამომრჩევლების ნების თავისუფლად გამოხატვის გარანტიას და საშუალებას უნდა იძლეოდეს“.<sup>15</sup>

ის თუ როგორ აღსრულდება სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ამომრჩეველთა მოსყიდვასთან დაკავშირებული დებულება, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მიერ ჩატარებული კამპანიის შედეგად ბოლოს 2012 წლის მაისში იქნა შეცვლილი, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია რადგან ამჟამინდელი რედაქციით ამ დებულების სასამართლოს მიერ გამოყენება და ინტერპრეტირება ჯერ არ მომხდარა<sup>16</sup>. ამომრჩეველთა მოსყიდვის საკითხი ასევე საარჩევნო კოდექსშიც არის განხილული, თუმცა მისი განსაზღვრება განსხვავებულია სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული განსაზღვრებისგან, ასევე განსხვავებულია ამ დებულებების აღსრულებასთან დაკავშირებული მიდგომები.

***სისხლის სამართლის კოდექსში და საარჩევნო კოდექსში ამომრჩევლების მოსყიდვასთან დაკავშირებული დებულებები გადახედილი და ერთმანეთთან ჰარმონიზირებული უნდა იქნას.***

<sup>14</sup> 2011 წლის 16 ოქტომბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოსცა განკარგულება რომლის მიხედვითაც ბატონი ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეობას მიიღებდა მას შემდეგ რაც მისი საფრანგეთის მოქალაქეობა გაუქმდებოდა, ერთი წლის შემდეგ 16 ოქტომბერს ბატონ ივანიშვილს მოქალაქეობა დაუბრუნდა.

<sup>15</sup> იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის #25-ე საერთო კომენტარების 21-ე პარაგრაფი. ასევე იხილეთ კონსტიტუციის 28-ე მუხლი, რომლითაც ამომრჩეველთა ნების თავისუფლად გამოხატვა არის გარანტირებული.

<sup>16</sup> იხილეთ საჩივრების და აპელაციების თავი, რომელშიც მოცემულია სასამართლოს წინაშე წარდგენილი ამომრჩეველთა მოსყიდვის მაგალითები (თუმცა ამ საქმეებზე სასამართლოებს გადაწყვეტილება არ მიუღიათ).

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც ძალაში 2010 წლის 12 აპრილს შევიდა, საქართველოს პირველი კანონი გახდა, რომელიც გენდერული თანასწორობის მხარდაჭერაზე იყო ორიენტირებული და მთლიანობაში აღნიშნული კანონი აღიქმება როგორც საერთო ჩარჩო რომლის ფარგლებშიც ამ მხრივ შემდგომი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. 2011 წლის 5 მაისს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ეგიდით გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა იქნა მიღებული. ამ საბჭოში მთავრობის, პარლამენტის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შედიან და მან მთავარი როლი შეასრულა პარტიების და ბლოკების მიერ გენდერულად უფრო დაბალანსებული საარჩევნო სიების წარმოდგენის ხელშესაწყობად კანონმდებლობაში შესაბამისი სტიმულების ჩადებაში.

*წინამდებარე და მანამდე მომზადებულ ანგარიშებში წამოჭრილი საკითხების რაოდენობიდან გამომდინარე განხილული უნდა იქნას არჩევნების საკანონმდებლო სტრუქტურის სრულად გადახედვის შესაძლებლობა. კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ უნდა შედიოდეს არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა რომ ისინი კარგ საარჩევნო პრაქტიკას შეესაბამებიან, შესაძლებელია გარკვეული ტექნიკური და საპროცედურო ელემენტების გაუმჯობესება საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომელთა ჩატარება 2013 წლის ოქტომბერშია მოსალოდნელი.*

## VI. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება მოხდა სამ დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო საარჩევნო კომისიისგან და 3,655 საუბნო საარჩევნო კომისიისგან. გარდა ამისა სამხედრო ნაწილებში, საავადმყოფოებში, წინასწარი დაკავების იზოლატორებში და ციხეებში 71 სპეციალური საარჩევნო უბანი შეიქმნა; ორი საარჩევნო უბანი შეიქმნა ქართველი სამხედროებისთვის, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ და 45 საარჩევნო უბანი იქნა შექმნილი უცხოეთის ქვეყნებში მდებარე საკონსულოებში.<sup>17</sup>

ყველა დონეზე საარჩევნო კომისიები 13 წევრისგან შედგება, აქედან 7 წევრი სახელდება კვალიფიცირებული პოლიტიკური პარტიების მიერ (სახელმწიფო დაფინანსების

<sup>17</sup> რუსეთის ფედერაციაში საარჩევნო უბნები არ გახსნილა რადგან ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები.

მიღებისთვის კვალიფიცირებული პოლიტიკური სუბიექტები)<sup>18</sup>. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხუთი წევრი პარლამენტის მიერ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან ინიშნება, ხოლო ცესკოს თავმჯდომარის შესარჩევად დამატებითი პროცედურები მოქმედებს. ცესკოს წევრები ხუთწლიანი ვადით ინიშნებიან.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დანარჩენ ექვს წევრს უფრო მაღალი დონის საარჩევნო კომისიები ნიშნავენ. ცესკოს მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები ხუთწლიანი ვადით ინიშნებიან, ხოლო პარტიების მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები და ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები მხოლოდ საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ინიშნებიან. ცესკოს ადმინისტრაციული წესით დანიშნული 6 წევრი როგორც წესი საკითხების გადაწყვეტისას ერთი და იგივე გადაწყვეტილებებს უჭედნენ მხარს, მათ ჩვეულებრივ მხარს უბამდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დანიშნული წევრებიც რაც მათ საარჩევნო კომისიების ყველა დონეზე *დე ფაქტო* უმრავლესობას აძლევდა. ეს კიდევ უფრო აშკარა იყო კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე კენჭისყრის დროს. საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ცვლილება საკმაოდ რეგულარულად ხდებოდა<sup>19</sup>. ბევრ შემთხვევაში პარტიების მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ რომ ისინი ამ კომისიებში ნომინირებულნი იყვნენ ან არ სურდათ რა თავის თავზე ამ საქმიანობასთან დაკავშირებული იურიდული თუ ფინანსური პასუხისმგებლობის აღება ისინი კომისიის წევრობიდან გადადგომას არჩევდნენ.

ცესკოს წევრებიდან მხოლოდ ერთი იყო ქალბატონი. საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე ქალები მუდმივი წევრების 44 პროცენტს ხოლო პარტიების მიერ დანიშნული რიცხვიდან 55 პროცენტს შეადგენდნენ. საოლქო საარჩევნო კომისიების 14 თავმჯდომარე (19 პროცენტი), 16 თავმჯდომარის მოადგილე (22 პროცენტი) და 47 მდივანი (64 პროცენტი) ქალბატონი იყო. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს შორის ქალების წარმომადგენლობა საკმაოდ მაღალი

<sup>18</sup> საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნის უფლება შვიდ პარტიას აქვს, რომლებიც ყველაზე დიდ სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ. სახელმწიფო დაფინანსება ეძლევა იმ პარტიებს, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ოთხპროცენტიანი ან ბოლო ადგილობრივ არჩევნებში სამპროცენტო ბარიერი გადალახეს.

<sup>19</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით რამოდენიმე ოლქში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა თანამდებობები დატოვეს. ყველაზე მეტი შემთხვევა იყო ქუთაისში (131 საუბნო საარჩევნო კომისია) სადაც საუბნო საარჩევნო კომისიებში 405 წევრის გამოცვლა მოხდა, მათ შორის 218 ქართული ოცნების, 136 ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანების, 40 ლეიბორისტული პარტიის და 11 ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ.



იყო. საშუალოდ 13-დან 10 წევრი ანუ 69 პროცენტი ქალბატონი იყო, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების ნახევარზე მეტის თავმჯდომარე (52 პროცენტი) ქალბატონები იყვნენ<sup>20</sup>.

ახალი საარჩევნო კოდექსის ფარგლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის კომპეტენცია შევიწროვდა. ამომრჩეველთა სიების სიზუსტეზე, მედია და საარჩევნო დაფინანსების რეგულაციების მონიტორინგზე სხვა ინსტიტუტები არიან პასუხისმგებლები. აქედან გამომდინარე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უშუალოდ საარჩევნო ადმინისტრირებაზე ფოკუსირების საშუალება მიეცა, რაც მან კომპეტენტურად და პროფესიონალურად გააკეთა. ცესკო ეფექტურად და გამჭვირვალედ მოქმედებდა, ტარდებოდა ხშირი შეხვედრები და საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფების შეკრებები, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიების და მედიის წარმომადგენლებისთვის. ცესკოს გადაწყვეტილებებს ხშირად წინ ეწინააღმდეგებოდა არგუმენტებით დატვირთული განხილვები უძღვოდა, რომლებშიც ზოგადად პოლარიზებული პოლიტიკური გარემო ჩანდა. ხანდახან ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრების მიერ გარკვეული საკითხების დღის წესრიგში დაყენებასთან დაკავშირებული თხოვნების განხილვა გაურკვეველი ვადით ყოვნდებოდა ხოლმე<sup>21</sup>. ცესკოს ინფორმატიული ვებსაიტი გააჩნდა, რომელიც ყოველდღიურად ახლდებოდა ცესკოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილებებით, პრეს რელიზებით, სატრენინგო სახელმძღვანელოებით და საინფორმაციო ბიულეტენებით.

ცესკომ ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიები ჩაატარა, რომლებიც საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტს ეხებოდა, მან ასევე უზრუნველყო საინფორმაციო მასალების ეთნიკური უმცირესობების ენებზე გამოცემა. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ყველა წევრმა ყოვლისმომცველი მომზადება ცესკოს ტრენინგ ცენტრში გაიარა. აღნიშნული ტრენინგები ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ პოზიტიურად შეაფასა, თუმცა არსებობს გარკვეული კონკრეტული ასპექტები, რომელთა გაუმჯობესებაზე ფიქრი შეიძლება (იხილეთ თავი არჩევნების დღის შესახებ). გარდა ამისა ცესკოს იურიდიულმა დეპარტამენტმა პარტიების იურისტებს და აქტივისტებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, მოსამართლეებს და მედიის

<sup>20</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლების მიერ არჩევნების დღეს დაფიქსირებული სიტუაცია.

<sup>21</sup> 14 სექტემბერს ქართული ოცნების წარმომადგენელმა არჩევნების დღეს საჩივრების შეტანის ვადების განხილვის დღის წესრიგში შეტანა მოითხოვა; 18 სექტემბერს კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა სამხედროების მიერ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის საკითხის განხილვის დღის წესრიგში ჩასმა მოითხოვა.

წარმომადგენლებს საჩივრების და აპელაციის პროცესზე ტრენინგები ჩაუტარა და სახელმძღვანელოები გადასცა.

გარკვეული წინააღმდეგობა წარმოიშვა სამხედროების მიერ ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით. სამხედრო მეთაურების თხოვნის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიებმა სამხედროებისთვის არჩევნებში მონაწილეობისთვის ხელშეწყობის მიზნით სამხედრო ნაწილებში 27 სპეციალური საარჩევნო უბანი გახსნა. საარჩევნო კოდექსის მიხედვით სპეციალურ უბნებზე დარეგისტრირებულ მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც პროპორციულ ისე მაჟორიტარულ არჩევნებში მათი სამსახურის ადგილის მიხედვით მათი რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად<sup>22</sup>. ამასთან დაკავშირებით ქართულმა ოცნებამ მრავალი საჩივრი შეიტანა და განაცხადა რომ აღნიშნული საარჩევნო უბნები მაჟორიტარულ არჩევნებზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ საარჩევნო სურათის შეცვლის მიზნით შეიქმნა კონკრეტულ რეგიონებში და ეჭვქვეშ დააყენა სამხედროების მიერ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

ყველა ეს პრეტენზია უარყოფილი იქნა. არჩევნების დღეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლებმა აღნიშნეს რომ ზოგიერთი სპეციალური „სამხედრო“ უბანი ქარხნებში და თავდაცვის სამინისტროს სარემონტო სახელოსნოებში იყო განლაგებული; ფაქტობრივად ისინი სამინისტროს სამოქალაქო თანამშრომლებს ემსახურებოდნენ, რომლებიც მათი რეგისტრაციის ადგილზე არსებული ჩვეულებრივი საარჩევნო უბნებიდან ამ უბნებზე იყვნენ მიმაგრებული.

*სასურველია რომ თავდაცვის სამინისტროს და მას დაქვემდებარებული საწარმოების სამოქალაქო თანამშრომლებმა და სამხედრო პერსონალმა, რომლებიც კონკრეტულ ყაზარმაზე ან ბაზაზე არ არიან მიმაგრებული, ხმა მისცენ მათი რეგისტრაციის ადგილზე არსებულ ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე. ასევე შესაძლებელია კვლავ იქნას განხილული საქართველოში მყოფი ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურის მიერ მათი რეგისტრაციის ადგილზე არსებულ ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის შესაძლებლობა.*

24 სექტემბერს ცესკომ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე ვიდეო და ფოტო გადაღება შეზღუდა. ამ შეზღუდვამ ოპოზიციური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების და მედია საშუალებების მწვავე კრიტიკა გამოიწვია, რადგან მათი აზრით ეს მედიის მუშაობას

<sup>22</sup> იხილეთ საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის 3.2-ე პარაგრაფი (xi), რომლის მიხედვითაც „როდესაც ეს შესაძლებელია სამხედრო მოსამსახურეებმა ხმა მათი რეგისტრაციის ადგილას უნდა მისცენ. სხვა შემთხვევაში სასურველია რომ მოხდეს მათი იმ საარჩევნო უბნებზე რეგისტრაცია, რომლებიც მათი დისლოკაციის ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარეობს.

უშლიდა ხელს და ასევე გამჭვირვალებას ამცირებდა<sup>23</sup>. სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა ამ განკარგულების გაუქმების თაობაზე უარყოფილი იქნა. თუმცა აღნიშნული განკარგულება საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ტრენინგების დასრულების შემდეგ იქნა მიღებული, რამაც გამოიწვია ის რომ აღნიშნული დებულება არჩევნების დღეს ყველა საუბნო საარჩევნო კომისიაში ზედმიწევნით განხორციელებული არ ყოფილა.

## VII. ამომრჩევლების რეგისტრაცია

ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაზე და შედგენაზე პასუხისმგებელი იყო ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია. ამ კომისიის თავმჯდომარე ოპოზიციური პარტიის „ახალი მემარჯვენეების“ წევრი იყო. ივნისში და ივლისში კომისიამ ამომრჩეველთა მონაცემები კარდაკარის მეშვეობით გადაამოწმა. კომისიის ინფორმაციით მის მიერ ჩატარებული კამპანიის შედეგად სიებიდან 25,949 გარდაცვლილი ამომრჩევლის სახელი იქნა ამოღებული. თუმცა თითქმის 650,000 შემთხვევაში ის პირები რომლებიც კონკრეტულ მისამართებზე იყვნენ რეგისტრირებულნი არ იყვნენ ცნობილი ამ მისამართებზე ამჟამად მცხოვრები კონკრეტული პირებისთვის ან სავარაუდოდ სხვა ადგილზე იყვნენ საცხოვრებლად გადასულნი. კიდევ დაახლოებით 291,000 ყოფილი მაცხოვრებელი სავარაუდოდ უცხოეთში იყო წასული<sup>24</sup>.

ამჟამად არ არსებობს კონკრეტული იურიდიული დებულებები ან საპროცედურო მექანიზმები რომელთა მეშვეობით მოხდებოდა რეგისტრაციის რეგულარულად შეჩერება, ამომრჩევლების სხვა მისამართებზე გადაყვანა ან მათი ბოლო საცხოვრებელი მისამართის მიხედვით შედგენილი სიებიდან ამოღება, ეს ყველაფერი მხოლოდ მაშინ ხდება როდესაც აღნიშნული პირები თავად ანახლებენ მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას სამოქალაქო რეესტრში. ხელახლა რეგისტრაციის არ არსებობის შედეგად კონკრეტული პირების სახელები ამომრჩეველთა სიაში განუსაზღვრელი დროით რჩება იმ მისამართებზე რომლებზეც ისინი აღარ ცხოვრობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით შეტანილი ფორმალური საჩივრების რაოდენობა შედარებით ნაკლები იყო. თუმცა ის საჩივრები რომლებიც იქნა შეტანილი აპროტესტებდა კონკრეტულ მისამართებზე დარეგისტრირებული ასობით ამომრჩევლის შესაბამის ამომრჩეველთა სიებში შეტანას რადგან აღნიშნული პირები აღარ ცხოვრობდნენ ამ მისამართებზე. აღნიშნული საჩივრები ძირითადად უარყოფილი იქნა.

<sup>23</sup> იხილეთ ცესკოს განკარგულება 42/2012, რომელიც საარჩევნო კოდექსის 8.25-ე მუხლს განმარტავს.

<sup>24</sup> ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის რეზოლუცია #53 „ამომრჩეველთა სიების კარდაკარის მეშვეობით გადამოწმების შესახებ“, 2012 წლის 30 ივლისი.

მთლიანობაში როგორც ჩანს საზოგადოებაში არსებობდა საერთო კონსენსუსი იმის თაობაზე რომ ამომრჩეველთა სიები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად<sup>25</sup>. ამის მიუხედავად სამოქალაქო რეესტრს რომლის მონაცემების საფუძველზე დგება ამომრჩეველთა სიები ჯერ კიდევ არ აქვს ყოვლისმომცველი და ერთიანი მისამართების სისტემა. გარდა ამისა სამოქალაქო რეესტრს არ გააჩნია მისამართების დროულად განახლების და უწყებებს შორის სამოქალაქო სტატუსის ცვლილებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის ეფექტური მექანიზმები.

*სასურველია რომ სამოქალაქო რეესტრმა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიასთან და სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიოს ყოვლისმომცველი, ერთიანი და დროულად განახლებადი მისამართების სისტემის შესამუშავებლად. გარდა ამისა კარგი იქნება შემუშავდეს საცხოვრებელი ადგილის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების და უწყებებს შორის სამოქალაქო სტატუსის ცვლილებებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულად გაცვლის უფრო ეფექტური მექანიზმები.*

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიისგან მთელი ქვეყნის მასშტაბით მომზადებული ამომრჩეველთა სიის მიღების შემდეგ ცესკოს კვლავ ევალებოდა რაიონების და უბნების მიხედვით ამომრჩეველთა სიების ორგანიზაცია და მომზადება. 28 აგვისტოდან დაწყებული ხდებოდა ამომრჩეველთა წინასწარი სიების ყველა საარჩევნო უბნებზე გამოქვეყნება რათა მოსახლეობას მათი გადამოწმების საშუალება ჰქონოდა. თუმცა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით ამ სიებში საკუთარი მონაცემების შემოწმება და განახლება ამომრჩეველთა მცირე რაოდენობამ მოახდინა. 29 სექტემბერს ცესკომ გამოაცხადა რომ ამომრჩეველთა საბოლოო სიებში სულ 3,613,851 რეგისტრირებული ამომრჩეველი ირიცხებოდა<sup>26</sup>. მართალია სიებში 206,795 იძულებით გადაადგილებული პირი იქნა შეყვანილი, მაგრამ დაახლოებით 2,000 დევნილს არ მიეცათ ხმის მიცემის საშუალება რადგან

<sup>25</sup> ქართულმა ოცნებამ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების მიზნით ქვეყნის მასშტაბით თავისი კარდაკარი ჩაატარა, რომლის შედეგები ძირითადად ემთხვეოდა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ დადებულ სტატისტიკურ მონაცემებს. გარდა ამისა ზოგიერთმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა ორგანიზაციამ, მაგალითად „ამომრჩეველთა ლიგამ“, შეზღუდული მასშტაბის კარდაკარი გარკვეულ რაიონებში ჩაატარეს.

<sup>26</sup> ამ რიცხვში შედიოდა 43,176 ამომრჩეველი, რომელიც უცხოეთში მდებარე საკონსულო რეესტრში იყვნენ შეყვანილი, 2,125 ამომრჩეველი, რომლებიც ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს, 54,019 სამხედრო მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ძალების წევრები და 206,795 იძულებით გადაადგილებული პირი.

მათ დევნილთა ბარათებზე არ ჰქონდათ მითითებული ამჟამინდელი დროებითი მისამართი<sup>27</sup>, რამაც მათი შესაბამისი საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა სიებში შეყვანას შეუშალა ხელი<sup>28</sup>.

*სასურველია რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მოახდინოს იმ დევნილთა ბარათების განახლება და შეცვლა, რომლებშიც მიმდინარე დროებითი მისამართი არ არის მითითებული, რათა მოხდეს ამ მოქალაქეების საარჩევნო სიებში შეყვანა და მათ მომავალ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცეთ.*

უცხოეთში მყოფ მოქალაქეებს საკონსულოებში გახსნილ საარჩევნო უბნებში რეგისტრაციის გავლის უფლება ჰქონდათ იმისდა მიუხედავად იყვნენ თუ არა ისინი საკონსულოს რეესტრში შეყვანილი. თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკმარისად არ მოუხდენიათ საკუთარი ძალისხმევით კოორდინირება და არ მიუწოდებიათ პოტენციური ამომრჩეველებისთვის დროული და ზუსტი ინფორმაცია შესაბამისი პროცედურების და უცხოეთში არჩევნებზე რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის შესახებ. უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეების ორგანიზაციების და ოპოზიციური პარტიების კრიტიკის შედეგად ცესკომ სამი დღით გადასწია უცხოეთში რეგისტრაციის საბოლოო ვადა და უცხოეთში დამატებით კიდევ ხუთ ქვეყანაში გახსნა საარჩევნო უბნები. თუმცა ეს ახალი საარჩევნო უბნები გახანგრძლივებული ვადის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე ჩამოყალიბდა რამაც ამომრჩეველებს რეგისტრაციის მისაღებად ცოტა დრო დაუტოვა.

<sup>27</sup> იძულებით გადაადგილებულ პირებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობის“ მიერ დადებული ციფრები, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მთლიანობაში აღიარებული იქნა. არსებული ინფორმაციით ზოგიერთი დევნილი არ იყო განსახლებული როდესაც ისინი თავდაპირველად დევნილებად იყვნენ დარეგისტრირებული, ზოგიერთები დევნილებად დარეგისტრირების შემდეგ სხვა საცხოვრებელ ადგილებზე განასახლეს, თუმცა მას შემდეგ მათ დოკუმენტები არ გამოუცვლიათ.

<sup>28</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემის ზოგიერთი დებულების, მათ შორის მისამართის წარდგენის გარეშე რეგისტრაციის შესაძლებლობის, გადახედვის რეკომენდაცია გასცა რათა ხმის მიცემის უფლება გარანტირებული იყოს. იხილეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების თაობაზე მომზადებული საბოლოო ანგარიშის 25-ე გვერდი შემდეგ ბმულზე: <http://www.osce.org/odihr/elections/71280>.

სასურველია რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ცესკოსთან ერთად საზღვარგარეთ განლაგებულ საკონსულოების მეშვეობით არჩევნებზე რეგისტრაციის შესახებ დროული და ამომწურავი ინფორმაცია გაავრცელონ, მათ შორის ამ ინფორმაციის შესაბამის ვებსაიტებზე განთავსების გზით, რომელშიც მოცემული იქნება რეგისტრაციის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი. მთლიანობაში სასურველია უცხოეთში საუბნო საარჩევნო კომისიების და საარჩევნო უბნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საბოლოო ვადების გადახედვა რათა უზრუნველყოფილი იყოს ის რომ ამომრჩევლებს საკმარისი დრო მიეცეთ რეგისტრაციის გასაგეგმად.

## VIII. კანდიდატების რეგისტრაცია

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატები ცესკოში უნდა ყოფილიყვნენ რეგისტრირებულნი. იმ პარტიებს, რომლებსაც არ ჰყავდათ წარმომადგენლები მიმავალ პარლამენტში და არ იყვნენ კვალიფიცირებული სახელმწიფო დაფინანსების მიღებისთვის, უნდა შეეგროვებინათ 25,000 ხელმოწერა, ხოლო კვალიფიცირებულ პარტიებს მხოლოდ 1,000 ხელმოწერის შეგროვება ევალეობოდათ. სულ არჩევნებზე მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის გავლაზე განაცხადი 41-მა პარტიამ შეიტანა, აქედან 19-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე<sup>29</sup>. გარდა ამისა ოთხმა საინიციატივო ჯგუფმა, რომლებიც მინიმუმ ხუთი ამომრჩევლისგან შედგებოდა, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში არჩევნებზე მონაწილეობისთვის დამოუკიდებელი კანდიდატების ნომინირება მოახდინეს. რეგისტრაციის მისაღებად ამ კანდიდატებს უნდა წარმოედგინათ მათი მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელმოწერები, რომელთა რაოდენობა შესაბამის საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის მინიმუმ ერთი პროცენტი უნდა ყოფილიყო, მათ ასევე უნდა გადაეხადათ საარჩევნო დეპოზიტი 5,000 ლარის ოდენობით<sup>30</sup>. მოქმედი დამოუკიდებელი დეპუტატებისთვის ხელმოწერების შეგროვების ვალდებულება გაუქმებული იყო.

<sup>29</sup> 19-მა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ წარმოადგინა ხელმოწერათა სიები ან მათ მიერ წარმოდგენილი სიები არასრული იყო ან მათ უკან გაიტანეს რეგისტრაციაზე განაცხადები.

<sup>30</sup> დაახლოებით 2,300 ევრო (1 ევრო დაახლოებით 2 ლარს უდრის). აღნიშნული დეპოზიტი საშუალო თვიურ ხელფასზე 9-ჯერ უფრო მეტია, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საშუალო თვიური ხელფასის ოდენობა 2011 წელს 636 ლარი იყო.

მთლიანობაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს თოთხმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ და ორმა საარჩევნო ბლოკმა, რომლებშიც რვა პარტია შედიოდა<sup>31</sup>, გარდა ამისა არჩევნებში მონაწილეობა ორმა დამოუკიდებელმა მაჟორიტარმა კანდიდატმაც მიიღო<sup>32</sup>. 1 სექტემბერისთვის (რეგისტრაციის საბოლოო ვადა) ყველა საარჩევნო სუბიექტმა წარმოადგინა მათი საარჩევნო სია პროპორციული არჩევნებისთვის, ამ სიებში მოცემული კანდიდატების რაოდენობა 2,313-ს შეადგენდა. 21 სექტემბრისთვის (კანდიდატურების მოხსნის საბოლოო ვადა) არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრაცია 444 მაჟორიტარმა კანდიდატმა გაიარა - მათ 73 საპარლამენტო ადგილისთვის უნდა ებრძოლათ. ყველაზე მეტი კანდიდატურა (10) საბურთალოს საარჩევნო ოლქში დარეგისტრირდა, ხოლო ადიღენში მხოლოდ ორი კანდიდატი იყო რეგისტრირებული. მხოლოდ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ქართულმა ოცნებამ წარადგინეს მაჟორიტარობის კანდიდატები ყველა საარჩევნო ოლქში.

მთლიანობაში რეგისტრაციის პროცესი გამჭვირვალე და ინკლუზიური იყო<sup>33</sup>. სულ 2,757 კანდიდატის რეგისტრაციამ ამომრჩევლებს ფართო არჩევანი მისცა. პროპორციულ სიებში 729, ხოლო მაჟორიტარ კანდიდატებს შორის 60 ქალი კანდიდატი იყო რეგისტრირებული, მათი საერთო რაოდენობა ამ არჩევნებში მონაწილე კანდიდატების 28.74 პროცენტს შეადგენდა. გენდერულად უფრო დაბალანსებული სიების წარმოდგენისთვის შემოღებული პოზიტიური საკანონმდებლო სტიმულები მთლიანობაში არაეფექტური გამოდგა რადგან საარჩევნო სუბიექტების უმრავლესობას მათ შორის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ოპოზიციურ ბლოკ ქართულ ოცნებას გენდერულად უფრო დაბალანსებული საარჩევნო სიები არ წარმოუდგენიათ.

<sup>31</sup> პარტიები და ბლოკები მათი საარჩევნო ნომრებით: კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო (1), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (4), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (5), სამართლიანი საქართველოსთვის (9), გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (10), სახალხო მოძრაობა (17) თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა (19), ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი (23), ახალი მემარჯვენეები (24), ხალხის პარტია (24), მერაბ კოსტავას საზოგადოება (30), მომავალი საქართველო (35), საქართველოს მშრომელთა საბჭო (36), შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია (38), საქართველოს სპორტსმენთა კავშირი (40), ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება (41).

<sup>32</sup> ალექსი შოშიკელაშვილი თელავში (17-ე ოლქი) და ვლადიმერ ვახანია ზუგდიდში (67-ე ოლქი) - ორმა სხვა დამოუკიდებელმა კანდიდატმა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობისგან.

<sup>33</sup> კანდიდატების რეგისტრაციასთან დაკავშირებული რამოდენიმე საჩივარი ძირითადად ქვეყანაში ცხოვრების ცენზთან, ხელმოწერების შეგროვების წესებთან და პოლიტიკური პარტიის სახელის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის დროს გარკვეული პრობლემა წარმოიშვა ქართული ოცნებისთვის საარჩევნო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად ქართულმა ოცნებამ ჩათვალა რომ ის შეძლებდა მის საარჩევნო ბლოკში შემავალი ერთ-ერთი პარტიის მიერ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული საარჩევნო ნომრის შენარჩუნებას, ის ამ დასკვნას კანონის საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე აკეთებდა. ცესკომ ქართულ ოცნებას სხვა საარჩევნო ნომერი მიანიჭა. მიუხედავად იმისა რომ ახალი საარჩევნო ნომრის მინიჭებამ ქართული ოცნების მიერ წინა საარჩევნო ნომრის გამოყენებით დაბეჭდილი საკმაოდ დიდი რაოდენობის საარჩევნო მასალები გამოუსადეგარი გახადა ცესკოს გადაწყვეტილება საარჩევნო კოდექსს და მის მიერ 2004 და 2008 წლებში მსგავს შემთხვევებში გამოყენებულ მიდგომას შეესაბამებოდა. ქართულ ოცნებას ცესკოს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი არ შეუტანია.

## IX. საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კამპანია კონკურენტული იყო და მოქალაქეები მასში აქტიურად მონაწილეობდნენ მათ შორის მშვიდობიანი ფართომასშტაბიანი მიტინგების სახით. თუმცა საარჩევნო გარემო პოლარიზებული და დაძაბული იყო, მას მკვეთრი რიტორიკის და ზოგ შემთხვევაში ძალადობის გამოყენება ახასიათებდა. საარჩევნო კამპანია ხშირად კონკრეტული პოლიტიკური პლატფორმის და პროგრამების წარმოჩენის მაგივრად ერთის მხრივ თანამდებობის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში) და მეორეს მხრივ კერძო ფინანსური რესურსების (ქართული ოცნების შემთხვევაში) უპირატესობის გამოყენებაზე ფოკუსირდებოდა. არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიები აცხადებდნენ რომ მათ არ შეეძლოთ ორი მთავარი კონკურენტის ფინანსური და ორგანიზაციული შესაძლებლობებისთვის და მათ მიერ მედიაზე წვდომასთან კონკურენციის გაწევა. პოლარიზაციას ხელი არ შეუწყვია კონსტრუქციული და საგნობრივი საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის, ამის მაგივრად კამპანია პროსახელისუფლებო და ანტისამთავრობო დისკურსის და ურთიერთბრალდებების ფონზე წარიმართა. პარტიების პროგრამებში განხილული ძირითადი საკითხები იყო უმუშევრობა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება და რეგიონალური განვითარება.

გაერთიანებების, შეკრების და გამოხატვის თავისუფლება მთლიანობაში პატივცემული იყო, თუმცა გარკვეული ინციდენტები, განსაკუთრებით არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, საარჩევნო გარემოს აფუჭებდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების მხარდამჭერებს შორის სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებას ბევრჯერ ჰქონდა ადგილი, ასევე ადგილი ჰქონდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების



მიერ კონკურენტების საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში ხელის შეშლის ფაქტებს<sup>34</sup>, იყო რამოდენიმე შემთხვევა როდესაც პარტიული ოფისების მიმართ ვანდალიზმის გამოვლინებას ჰქონდა ადგილი<sup>35</sup>. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში დაფიქსირდა ქსენოფობიური და დისკრიმინაციური რიტორიკის გამოყენების შემთხვევები, რასაც როგორც წესი გარკვეული სანქციები მოჰყვებოდა ხოლმე<sup>36</sup>.

მთელი წინასაარჩევნო კამპანიის მანძილზე ვრცელდებოდა ინფორმაციები პარტიული აქტივისტების დაკავების და დაპატიმრების შესახებ, ძირითადად ეს ქართული ოცნების აქტივისტებს ეხებოდა. არჩევნებამდე რამოდენიმე დღის განმავლობაში აღნიშნული ინფორმაციები კიდევ უფრო მომრავლდა. ქართული ოცნების ინფორმაციით ამ დღეებში 60-ზე მეტი მათი აქტივისტის დაპატიმრებას და მათი კამპანიის პარალიზების მიზანმიმართულ მცდელობებს ჰქონდა ადგილი<sup>37</sup>. უწყებათშორისმა კომისიამ, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ოფიციალური პირებით იყო დაკომპლექტებული და რომელსაც საჯარო მოხელეების მიერ განხორციელებული დარღვევების შესახებ ბრალდებების და საჩივრების განხილვა ევალებოდა, განიხილა აღნიშნული ცნობები და დაადასტურა 44 ადმინისტრაციული დაკავების და დაჯარიმების ფაქტი, რომლებიც ძალადობრივ ინციდენტებთან და მუქარებთან იყო დაკავშირებული<sup>38</sup>. სხვა პარტიების მხარდამჭერების და აქტივისტების დაკავების ან დაჯარიმების შესახებ სულ რამოდენიმე ინფორმაცია გავრცელდა. გამდაფრებული პოლიტიკური სიტუაციის გამო უწყებათშორისმა კომისიამ სამართალდამცავ ორგანოებს გონივრული და ნაკლებად მკაცრი სანქციების გამოყენებისკენ

<sup>34</sup> 26 სექტემბერს ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა სიღნაღის ცენტრალურ მოედანზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების მიერ ქართული ოცნების მიტინგისთვის ფიზიკურად ხელის შეშლის მცდელობა დააფიქსირეს.

<sup>35</sup> ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით ჭიათურაში მათ ოფისზე მოხდა თავდასხმა. ქართული ოცნების ინფორმაციით ნიკორწმინდაში, ჭრებალოში და ფოთში მათ ოფისებზე მოხდა თავდასხმა.

<sup>36</sup> 18 სექტემბერს ცესკომ თავისუფალი საქართველოს ლიდერის კახა კუკავას წინააღმდეგ ადმინისტრაციული ოქმი შეადგინა მისი პარტიის მიერ სოციალურ მედიაში „რელიგიური შუღლის გამღვივებელი“ განცხადებების გავრცელებისთვის. საბოლოო ჯამში ბატონი კუკავა 2,000 ლარით დაჯარიმდა.

<sup>37</sup> ქართული ოცნებისგან 25 სექტემბერს მიღებული ინფორმაცია.

<sup>38</sup> უწყებათშორისი კომისია, რომელსაც ასევე „უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ ეწოდება, ეროვნული უშიშროების საბჭოს ეგიდით ჩამოყალიბდა.

მოუწოდა<sup>39</sup>. უწყებათშორისი კომისიის ინფორმაციით მისი მიმართვის შედეგად აქტივისტების დაკავებების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო.

18 სექტემბერს საარჩევნო კამპანიის მიმართულება შეიცვალა მას შემდეგ რაც გავრცელდა ვიდეო კადრები, რომლებშიც ნაჩვენებია იყო თბილისის #8 გლდანის ციხეში პატიმრების წამება. ამან მთელი ქვეყნის მასშტაბით ათასობით ადამიანის მიერ მოწყობილი დემონსტრაციები და საბოლოო ჯამში ორი მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა გამოიწვია<sup>40</sup>. ოპოზიციური პარტიები მოგვიანებით შეუერთდნენ ამ საპროტესტო გამოსვლებს და კიდევ უფრო გააძლიერეს მმართველი პარტიის კრიტიკა. იმ დროს როცა პრეზიდენტი სააკაშვილი მუდმივად აღწერდა ამ არჩევნებს როგორც მთავრობის და მმართველი პარტიის მიღწევების შესახებ რეფერენდუმს, ქართული ოცნება პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდებდა და ამომრჩევლებს თავიანთი უკმაყოფილების ქუჩების მაგივრად საარჩევნო ყუთებთან გამოხატვას სთხოვდა.

მართალია როგორც ჩანს ოპოზიციას გააჩნდა მისი გზავნილების ელექტორატისთვის მიწოდების საშუალებები, ქართული ოცნების, სხვა ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩუმი ზეწოლის ატმოსფეროს, ოპოზიციური შეხედულებების შევიწროების და საჯარო მოხელეების და სოციალური დახმარების მიმღებთა მიმართ დაშინების გამო ჩიოდნენ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა რამოდენიმეჯერ დააფიქსირეს თუ როგორ სთხოვდნენ საჯარო მოხელეებს და მასწავლებლებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიტინგებზე დასწრებას. უწყებათშორისი კომისიის ერთ-ერთი გადაწყვეტილებით მოხდა რუსთავის ერთ-ერთი სკოლის დირექტორის სამსახურიდან განთავისუფლება რადგან მან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატს მასწავლებლებთან სკოლაში შეხვედრის საშუალება მისცა მაშინ როდესაც ქართული ოცნების კანდიდატის მიერ იგივე თხოვნა უპასუხოდ დატოვა<sup>41</sup>.

პარტიების უმრავლესობის წინასაარჩევნო აქტივობა კარდაკარის და ამომრჩევლებთან მცირემასშტაბიანი შეხვედრების ჩატარებით შემოიფარგლებოდა. მხოლოდ ერთიანი

<sup>39</sup> უწყებათშორისი კომისიის თავმჯდომარის მიერ 26 სექტემბერს გაკეთებული განცხადება.

<sup>40</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ თბილისში, გორში, ქუთაისში, თელავში, სამტრედიიაში, ბოლნისში, რუსთავში და ბათუმში ჩატარებულ 14 ასეთ დემონსტრაციას დააკვირდა.

<sup>41</sup> უწყებათშორისი კომისიის მიერ 14 სექტემბერს გაკეთებული განცხადება (საბოლოო ჯამში აღნიშნული სკოლის დირექტორი სამსახურიდან განთავისუფლეს).

ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება და გარკვეულწილად ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება აწყობდა ფართომასშტაბიან მიტინგებს და წინასაარჩევნო ღონისძიებებს. კამპანიების ინტენსივობა სხვადასხვა ადგილებში განსხვავებული იყო. წინასაარჩევნო ბილბორდები განსაკუთრებით თვალსაჩინო თბილისში იყო, ძირითადად აქ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბილბორდები ჭარბობდა<sup>42</sup>. სხვა პარტიების მიერ პოსტერების გამოყენება ნელ-ნელა 10 სექტემბრიდან გახშირდა, მას შემდგომ რაც უწყებათშორისმა კომისიამ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს პოსტერებისთვის დამატებითი ადგილების გამოყოფის რეკომენდაცია მისცა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციებმა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს ამ ახალი ადგილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

სახელმწიფოს და მმართველი პარტიის საქმიანობას შორის განსხვავება ხანდახან არ ჩანდა, რაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4-ე პარაგრაფს ეწინააღმდეგება<sup>43</sup>. ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატა ოფისები მუნიციპალიტეტების შენობებში იყო განლაგებული<sup>44</sup>. მუნიციპალიტეტების რამოდენიმე წარმომადგენელი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ სამთავრობო ოფისებში კამპანიის წარმართვის გამო დაჯარიმდა<sup>45</sup>. ხანდახან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს საჯარო ადგილებზე და ტრანსპორტზე უპირატესი წვდომა ჰქონდათ<sup>46</sup>. გარდა ამისა რამოდენიმე

<sup>42</sup> ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ასევე დომინანტური პოზიცია ჰქონდა თბილისში და სხვა ქალაქებში საზოგადო ტრანსპორტისთვის გამოყოფილ კერძო ავტობუსებზე განთავსებული რეკლამის მხრივაც. თუმცა 19-21 სექტემბერს გამართული ანტისახელისუფლებო გამოსვლების და ამ ავტობუსებზე თავდასხმის შედეგად აღნიშნული ავტობუსებიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სარეკლამო სტიკერები მოხსნეს.

<sup>43</sup> 5.4-ე პარაგრაფი „სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების ერთმანეთისგან ნათელ განცალკევებას“ ითხოვს.

<sup>44</sup> ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისები თბილისში (სამგორის რაიონი) და მარტვილში განლაგებულ სახელმწიფო შენობებში მდებარეობდა.

<sup>45</sup> სახელმწიფო მომსახურების განვითარების სააგენტოს მარკეტინგის განყოფილების უფროსის მოადგილე სააგენტოს იმ სარეკლამო ვიდეოს გამოქვეყნებისთვის იქნა დაჯარიმებული, რომელშიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი მონაწილეობდა. ორი საჯარო მოხელე დაჯარიმდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო მასალის გურჯაანში და ჩალაუბანში მუნიციპალიტეტის შენობებში გამოკვრის გამო.

<sup>46</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით 8 სექტემბერს ქუთაისში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფართომასშტაბიან მიტინგზე მონაწილეები სამტრედიიდან მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით ჩაიყვანეს. 28 სექტემბერს თბილისიდან დაახლოებით 200 მუნიციპალური მინიავტობუსი იქნა გამოძახებული რუსთავში რათა მომხდარიყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დასკვნით შეკრებაზე მხარდამჭერების გადაყვანა.

შემთხვევაში მუნიციპალიტეტების და საჯარო სამსახურების ვებსაიტებზე მმართველი პარტიის გზავნილების გამოქვეყნება ხდებოდა<sup>47</sup>.

*პარტიასა და სახელმწიფოს შორის განცალკევება შესაბამისად უნდა იქნას უზრუნველყოფილი როგორც კანონში ისე პრაქტიკაში. როგორც ეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის წინა ანგარიშებშია აღნიშნული სასურველია საკანონმდებლო სტრუქტურის გადახედვა რათა ამოღებული იქნას ის დებულებები, რომლებიც საჯარო მოხელეებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში მაშინ როდესაც ისინი საკუთარ ოფიციალურ მოვალეობებს ასრულებენ, ასევე კანონმდებლობიდან ამოღებული უნდა იქნას ის დებულებები რომლებიც თანაბარი გამოყენების პირობით სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი შენობების გამოყენების უფლებას იძლევიან, რადგან ამგვარი თანაბრად გამოყენების უფლება სწრაფად შეიძლება იქნას დარღვეული რადგან ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ პარტიებს უფრო ადვილი წვდომა აქვთ ამგვარ რესურსებზე.*

საარჩევნო კამპანიის მანძილზე უწყებათშორისი კომისია დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხების და პრობლემების განხილვის კარგ ფორუმად იქცა. იგი პროაქტიულ როლს თამაშობდა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაფიქსირებული დარღვევების აღკვეთისთვის რაც 12 კონკრეტული რეკომენდაციის გამოცემით გამოიხატა. უწყებათშორისი კომისიის რეკომენდაციები, რომლებიც იურიდიულად სავალდებულო არ ყოფილა, ყველა შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოს მიერ დროულად სრულდებოდა. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული რეკომენდაციები უწყებათშორისი კომისიის რეალური უფლებამოსილების შესახებ კითხვებს ბადებდა, რადგან კომისია ხანდახან საკუთარ მანდატს სცილდებოდა და ძალაუფლების გადანაწილების პრინციპს ეჭვქვეშ აყენებდა. კონკრეტულად უწყებათშორისი კომისიის ერთ-ერთი რეკომენდაციის შედეგად სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გადადება მოხდა<sup>48</sup>.

<sup>47</sup> მათ შორის ახალქალაქში, ახმეტაში, ბოლნისში, დუშეთში, დმანისში, ლანჩხუთში, მარტვილში, მესტიაში, სენაკში, სვანეთში, წალენჯიხაში და ზუგდიდში.

<sup>48</sup> უწყებათშორისი კომისიის #8 რეკომენდაციის შედეგად აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შეაჩერა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც ბლოკ ქართული ოცნებისთვის პარტიების დაფინანსების წესების დარღვევებისთვის ჯარიმების დაკისრებას გულისხმობდა, აღნიშნული ჯარიმის ოდენობა 2,850,717.06 ლარს უდრიდა.

## X. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

### A. საკანონმდებლო სტრუქტურა

კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ და საარჩევნო კოდექსი პოლიტიკური პარტიების და კამპანიების სახელმწიფო და კერძო დაფინანსებას, წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების ფარგლებს, ფინანსურ ანგარიშგებას, წყაროების გასაჯაროებას და დარღვევებისთვის სანქციებს არეგულირებენ. აღნიშნულ საკანონმდებლო ბაზაში ასევე შედის კანონი სახელმწიფო აუდიტის შესახებ. შესაბამის კანონმდებლობაში რამოდენიმეჯერ არსებითი ცვლილება იქნა შეტანილი არჩევნებამდე ერთი წლის პერიოდში, რომლის მიზანი იყო ყოვლისმომცველი მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად, მათ შორის „სახელმწიფოების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ“ (GRECO)-ს და ევროპის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად<sup>49</sup>.

2011 წლის დეკემბერში წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ დებულებებში არსებითი ცვლილებები შევიდა. ამ ცვლილებების მიხედვით აიკრძალა კორპორატიული შემოწირულობები, დაწესდა დაფინანსების მაქსიმალური რაოდენობა (48 მილიონი ლარი), ფინანსური წლის გამოთვლა 1 იანვრის მაგივრად 1 ნოემბრიდან დაიწყო და ასევე ხელისუფლებას უკანონო შემოწირულობის ხუთმაგი ან ათმაგი ოდენობის ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობა მიეცა. გარდა ამისა შემოღებული იქნა „საარჩევნო მიზნების მქონე პირების“ ცნება, რომელიც ამგვარ პირებს არჩევნებთან დაკავშირებული ფინანსური ტრანზაქციებისთვის სპეციალური ფონდების ჩამოყალიბებას ავალდებულებს. საკანონმდებლო ბაზა კვლავ შეიცვალა 2012 წლის მაისში და ივნისში. ამის მიუხედავად ზოგიერთი იურიდიული დებულება ორაზროვანი და არათანმიმდევრული დარჩა<sup>50</sup>. გარდა

<sup>49</sup> GRECO-ს შეფასებითი ანგარიში საქართველოში პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ, 2011 წლის 27 მაისი: [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/round3/GrecoEval3\(2010\)12\\_Georgia\\_Two\\_EN.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/round3/GrecoEval3(2010)12_Georgia_Two_EN.pdf); იხილეთ ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)4 მონაწილე სახელმწიფოებისთვის, რომელიც პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიების დაფინანსებისას კორუფციის წინააღმდეგ იყო მიმართული: [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/general/Rec\(2003\)4\\_EN.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/general/Rec(2003)4_EN.pdf). (ჯერ-ჯერობით არ მომხდარა კანონში შეტანილი ახალი ცვლილებების GRECO-ს და ევროპის საბჭოს მიერ განხილვა).

<sup>50</sup> ერთ-ერთ საარჩევნო სუბიექტს ეგონა რომ საარჩევნო ხარჯებზე დაწესებული ლიმიტის გადაცილების შემთხვევაში ის არჩევნებიდან იქნებოდა მოხსნილი, მაშინ როცა ასეთ შემთხვევებში ასევე შესაძლებელია ხუთმაგი ჯარიმის დაკისრება (იხილეთ კანონის პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ 341.8-ე მუხლი).

ამისა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის თანამოსაუბრეები აკრიტიკებდნენ ამ ცვლილებებს რადგან მათი აზრით ისინი ხელისუფლებაში მყოფი პარტიისთვის იყო სასარგებლო და მათ პირდაპირი პოლიტიკური მიზანი ჰქონდათ. ქართული ოცნების განცხადებით ამ შესწორებების უმრავლესობა ამ კოალიციაში შემავალი პარტიების პოლიტიკური აქტივობების შეზღუდვაზე იყო ორიენტირებული კოალიციის ლიდერის ფინანსურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული წარმოდგენებიდან გამომდინარე.

*გამოვლენილი ნაკლოვანებებიდან გამომდინარე სასურველია პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ შესაბამის საკანონმდებლო ბაზაში არსებითი ცვლილებების შეტანა. სასურველია ამ ცვლილებების შედგენისას დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარება, ასევე კარგი იქნება თუ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს დროული და ყოვლისმომცველი ტრენინგები ჩაუტარდებათ მანამ სანამ შეცვლილი კანონის აღსრულება მოხდება.*

კანონის მიხედვით ნებისმიერ მოქალაქეს წელიწადში მაქსიმუმ 60,000 ლარამდე შეუძლია შესწიროს ერთ ან მეტ პარტიას, აღნიშნული შემოწირულობა მხოლოდ საბანკო გადარიცხვის მეშვეობით უნდა მოხდეს. შემოწირულობების ნატურით გაკეთება ასევე ნებადართულია. ყველა საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია რეგისტრაციის დღიდან ყოველ სამ კვირაში ერთხელ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შემოსავლების და ხარჯების ამსახველი ფინანსური ანგარიში ჩააბაროს<sup>51</sup>. თუმცა კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ამ ანგარიშების გამოქვეყნებას არ ავალდებულებს, რაც გამჭვირვალეობას ამცირებს<sup>52</sup>. პარტიები ვალდებულნი არიან თითოეული შემოწირულობის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ამ შემოწირულობის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში მიაწოდონ. როგორც პარტიები ისე სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ წინასაარჩევნო კამპანიის დამფინანსებელი დონორების ვინაობა და შემოწირულობების ოდენობა. თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ამ სიების თანმიმდევრულად და დროულად გამოქვეყნება არ მოუხდენია. მართალია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ევალება წარმოდგენილი ანგარიშების სისრულის, სიზუსტის და კანონიერების გადამოწმება, მისი დასკვნების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მას არავითარი იურიდიული ვალდებულება არ გააჩნია.

<sup>51</sup> ყველა საარჩევნო სუბიექტმა დროულად წარმოადგინა საკუთარი ფინანსური ანგარიშები იმ ფორმების გამოყენებით, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ იქნა გამოყოფილი.

<sup>52</sup> იხილეთ ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები პარტიების რეგულაციებთან დაკავშირებით (პარაგრაფი 200): <http://www.osce.org/odihr/77812>.

*წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალების კიდევ უფრო გასაზრდელად სასურველია რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ ანგარიშების და მის მიერ ამ ანგარიშების შესწავლის შედეგების და დასკვნების დროული გამოქვეყნება დაეკისროს.*

კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ პარტიისთვის უკანონო შემოწირულობის გაკეთების შემთხვევაში სხვადასხვა სანქციებს ითვალისწინებს. შესაძლებელია შემოწირულობის კონფისკაცია და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა ან შემომწირველს ან პარტიას შეიძლება უკანონო შემოწირულობის ხუთმაგი ოდენობის ჯარიმა დაეკისროს. გარდა ამისა კანონი 2,000 და 3,000 ლარის ოდენობის ჯარიმებსაც ითვალისწინებს წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსებთან დაკავშირებული სხვადასხვა დარღვევებისთვის.

კერძო და იურიდიული პირების მიერ განხორციელებულ უკანონო შემოწირულობებთან დაკავშირებულ დაახლოებით 100 შემთხვევაში მოხდა შემომწირველების ხუთმაგი ოდენობით დაჯარიმება, რამაც მინიმუმ 66 შემთხვევაში მათი საბანკო ანგარიშების ან მოძრავი თუ უძრავი ქონების ან ორივეს დაყადაღება გამოიწვია<sup>53</sup>. სულ ცოტა 27 შემთხვევაში მოხდა შემომწირველთა ქონების აუქციონზე გაყიდვა. უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური იმ პოლიტიკურ პარტიებს სანქციებს არ უწესებდა, რომლებმაც მიიღეს დაფინანსება და უკანონო შემოწირულობები არ გადარიცხეს სახელმწიფო ბიუჯეტში ისე როგორც ამას კანონი მოითხოვდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე აცნობა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას რომ მან საარჩევნო სუბიექტებზე დაკისრებული ჯარიმების გადახდის და მათი ქონების დაყადაღების პროცესის შეჩერება უწყებათშორისი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მოახდინა. დარღვევებისას სანქციების გამოყენების არათანმიმდევრულობამ კანონის აღსრულების პროცესში მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვები წარმოშვა და ამ პროცესებისადმი საზოგადოების ნდობა ეჭვქვეშ დააყენა. სანქციები დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტულ დარღვევებთან და პროპორციულობის პრინციპი პატივცემული უნდა იყოს რათა კანონის შერჩევითი და არასაყოველთაო აღსრულება თავიდან იქნას აცილებული<sup>54</sup>.

<sup>53</sup> სულ დაახლოებით 132,498,481 ლარის ოდენობის ჯარიმა იქნა დაკისრებული, მათ შორის ბატონ ივანიშვილს 20,243,827 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

<sup>54</sup> იხილეთ პოლიტიკური პარტიების რეგულაციების სახელმძღვანელო პრინციპების 216-ე და 225-ე პარაგრაფები და ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2003)4 რეკომენდაციის 16-ე მუხლი.

*სასურველია რომ კანონში ჩამოთვლილი იყოს დარღვევების და შესაბამისი სანქციების ამომწურავი სია, აღნიშნული სანქციები პროპორციული, ეფექტური და პრევენციული უნდა იყოს. სასურველია რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სანქციები თანმიმდევრულად გამოიყენოს, მათ შორის იმ პარტიებისთვის გაფრთხილების მიცემით, რომლებიც უკანონო შემოწირულობებს იღებენ და ამ შემოწირულობების სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვით მანამ სანამ შემდგომი სანქციების დაკისრება მოხდება.*

## **B. აღსრულება**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური დაფინანსების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, რომელსაც ადრე კონტროლის პალატა ეწოდებოდა, წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების ზედამხედველობა ევალება. კანონის მიხედვით სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია, მაგრამ მისი დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის შესახებ წარმოდგენები სერიოზულად იქნა შერყეული მისი მენეჯმენტის პოლიტიკური კავშირების გამო<sup>55</sup>.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ფართო დისკრეციული უფლებები აქვს და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ შესწავლილ 40 საქმეში აუდიტის სამსახურმა აღნიშნული უფლებამოსილება ოპოზიციური პარტიების და მათი დონორების წინააღმდეგ არაპროპორციულად გამოიყენა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კანონის შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებული საქმეების ფარგლებში 200-ზე მეტი ადამიანი მოწმის სახით ხოლო ქართული ოცნების შემომწირველი 100-ზე მეტი კერძო და იურიდიული პირი დაკითხვის მიზნით დაიბარა. აქედან 68 ადამიანი საბოლოო ჯამში სასამართლოების მიერ იქნა დაჯარიმებული. ამასგან განსხვავებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხოლოდ 10 შემომწირველის საქმე იქნა განხილული და 8 მათგანი დაჯარიმებული იმისდა მიუხედავად რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ გაკეთებული შემოწირულობების საერთო რაოდენობა 6.5-ჯერ მეტი იყო ვიდრე ქართული ოცნებისთვის გაკეთებული შემოწირულობების ოდენობა. ზოგადად სანქციები უფრო შემომწირველებს ეკისრებოდათ ვიდრე თავად პარტიებს.

<sup>55</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ამჟამინდელი დირექტორი 23 ივლისამდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი იყო პარლამენტში. აუდიტის სამსახურის ყოფილი დირექტორი და მისი მოადგილე თანამდებობებიდან არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით მონაწილეობის მისაღებად გადადგნენ.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურს თვითონ შეეძლო გადაეწყვიტა რომელი შემომწირველის საქმე გამოეძია და როგორ ჩაეტარებია მოკვლევა. ხანდახან გამოძიებები შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების პატივისცემის გარეშე და მთლიანობაში დაშინებაზე ორიენტირებული მანერით ტარდებოდა, რამაც შესაძლოა სხვა პოტენციურ შემომწირველებს შემოწირულობების გაკეთება გადააფიქრებინა<sup>56</sup>. რამოდენიმე შემთხვევაში სავარაუდო დარღვევები როგორც ჩანს არ იყო არსებითი ხასიათის<sup>57</sup>. მართალია პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მაგრამ მოქალაქეების მიერ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას ხელი არ უნდა შეეშალოს, მათ შორის მათთვის სასურველი კანდიდატისთვის თუ პარტიისთვის შემოწირულობების გაკეთების მხრივ, გარდა ამისა არ უნდა დაირღვეს მათი კერძო ცხოვრების და მონაცემების დაცვის უფლება<sup>58</sup>.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სასამართლოების მიერ 79-ივე საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით კერძო პირების მიერ გაკეთებული შემოწირულობები უკანონოდ იქნა ჩათვლილი იმის საფუძველზე რომ მათ არ გააჩნდათ საკმარისი შემოსავალი შემოწირულობის გასაკეთებლად. ამგვარი დასკვნები ყველაზე ხშირად შემომწირველების ბოლო ორი წლის საგადასახადო ჩანაწერების შესწავლის საფუძველზე კეთდებოდა. ამგვარი კრიტერიუმი კანონით გათვალისწინებული არ არის და ის არ იძლევა საკმარის საფუძველს შემომწირველის შემოსავლის დასადგენად და შემოწირულობის უკანონოდ ჩასათვლელად<sup>59</sup>. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ გაუფორმებია ურთიერთგაგების მემორანდუმით შემოსავლების სამსახურთან როგორც ამას მისი რეგულაციები მოითხოვს, რათა ჩამოყალიბებული ყოფილიყო საგადასახადო დოკუმენტების გადამოწმების პროცედურები. გარდა ამისა იმის მიუხედავად რომ მონიტორინგის სამსახური იანვარში ჩამოყალიბდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საკუთარი შიდა რეგულაციები მხოლოდ ივლისში მიიღო ანუ მას შემდეგ რაც მის მიერ ბევრი გამოძიება უკვე დასრულებული იყო.

<sup>56</sup> იხილეთ 2012 წლის 15 მარტით დათარიღებული სახალხო დამცველის მიმართვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისადმი:

<http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=1&id=1491>.

<sup>57</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოძიებულ ქართული ოცნებისთვის შემოწირულობების საქმეებს შორის ერთ-ერთი საქმე ეხებოდა 100 ლარის ოდენობის შემოწირულობას ხოლო კიდევ ერთ შემთხვევაში ნატურით გაკეთებულ შემოწირულობას, რომლის ღირებულება 10 ლარს უდრიდა.

<sup>58</sup> იხილეთ პოლიტიკური პარტიების რეგულაციების სახელმძღვანელო პრინციპების 202-ე პარაგრაფი.

<sup>59</sup> სანქციებს ის შემომწირველები დაექვემდებარნენ, რომლებსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში შემოსავლის დეკლარირება არ მოუხდენიათ, იმისდა მიუხედავად რომ მათ აჩვენეს რომ წინა წლებში მიღებული შემოსავლების შედეგად მათ შემოწირულობების გაკეთების საშუალება გააჩნდათ.

*არათანმიმდევრული და თვითნებური პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად სასურველია რომ საკანონმდებლო ბაზაში ნათლად იყოს განსაზღვრული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების მასშტაბები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კანონის სავარაუდო დარღვევების (მათ შორის უკანონო შემოწირულობების) მოკვლევის კრიტერიუმები და მეთოდოლოგია, ასევე სასურველია რომ კანონით დარეგულირდეს სხვა სახელმწიფო თუ საჯარო ორგანოებთან ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა.*

1 იანვრიდან 25 სექტემბრამდე ყველა პარტიისთვის და ბლოკისთვის გაკეთებული განსაჯაროებული შემოწირულობების საერთო რაოდენობა 29,213,353 ლარს შეადგენდა. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 978 შემოწირულობა მიიღო, რომელთა საერთო ოდენობამ 20,701.268 ლარი შეადგინა მაშინ როცა ქართულმა ოცნებამ 1,433 შემოწირულობა მიიღო, რომელთა საერთო ოდენობამ 3,440,712 ლარი შეადგინა<sup>60</sup>. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მაქსიმალურად დასაშვები ოდენობის შემოწირულობა (60,000 ლარი) 116 შემომწირველისგან მიიღო ხოლო ქართულმა ოცნებამ აღნიშნული შემოწირულობა ხუთი დონორისგან მიიღო.

რამოდენიმე იურიდიულმა პირმა, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სასამართლოს მიერ ქართულ ოცნებასთან და მის ლიდერთან დაკავშირებულად ჩათვალა, ქართულ ოცნებას მომსახურება ნატურით გაუწიეს, მაგალითად მიაქირავეს შენობები, ტრანსპორტი და სტამბები. დადგინდა რომ აღნიშნული მომსახურება საბაზრო ღირებულებაზე დაბალი იყო და შესაბამისად ისინი უკანონო შემოწირულობად ჩაითვალა, რაც 2,847,908 ლარს უდრიდა. აღნიშნული თანხა ბლოკ ქართული ოცნების შემოსავლებს დაემატა. გარდა ამისა ბატონი ივანიშვილი და ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატი ბატონი კალაძე ქართული ოცნებისთვის უკანონო შემოწირულობების გამო (რომელიც 22,575,367 ლარს უდრიდა) დაჯარიმდნენ როგორც „სარჩევნო მიზნების მქონე პირები“<sup>61</sup>. აღნიშნული თანხა ასევე დაემატა ბლოკ ქართული ოცნების შემოსავლებს და ხარჯებს. ამ თანხაში ასევე შედის 12,6 მილიონი ლარი, რომელიც გამოძიების მტკიცებით „მ.პ.ს. გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ მიერ სატელიტური თეფშების საყიდლად იქნა გამოყენებული, აღნიშნული სატელიტური ანტენები რაიონებში დასარიგებლად იყო განკუთვნილი რათა სატელიტური ქსელებით ოპოზიციური ტელეარხების გავრცელების

<sup>60</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებსაიტზე გამოქვეყნებული ციფრები: <http://sao.ge/?action=news&npid=277&lang=eng>.

<sup>61</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგულაციების მიხედვით „სარჩევნო მიზანი შეიძლება იქნას განსაზღვრული როგორც პოლიტიკურ პროცესზე ზეგავლენის მოხდენის სურვილი, არსებული პოლიტიკური რეალობის ცვლილების ან შენარჩუნების სურვილი ან კონკრეტული პირის მიერ არჩევნებში მონაწილეობის და არჩევნების მოგების ან ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი.“

არეალი გაფართოებულიყო. შემომწირველები მაინც დაჯარიმდნენ იმის მიუხედავად რომ ხელისუფლებამ ყველა თეფშის დაყადაღება მოახდინა. აღნიშნულ თანხაში ასევე შევიდა ის თანხები, რომლებიც ბატონმა ივანიშვილმა და ბატონმა კალაძემ საკუთარი კერძო საბანკო ანგარიშებიდან 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივლისამდე რამოდენიმეჯერ მოხსნეს, რადგან გამომიების ვარაუდით აღნიშნული თანხებიც ბლოკ ქართული ოცნებისთვის იქნა შეწირული. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2011 წლის ნოემბერში შექმნილი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ შემოსავალიც ბლოკ ქართული ოცნების შემოსავალს დაუმატა. როგორც ჩანს ყველა ზემოდაღნიშნულ შემთხვევაში „საარჩევნო მიზნების მქონე პირის“ სტატუსი (2011 წლის ნოემბრის მდგომარეობით) კანონის უკუძალით იქნა გამოყენებული მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული ცნება 2011 წლის დეკემბერს იქნა შემოღებული. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს „საარჩევნო მიზნების მქონე პირის“ ცნება ოფიციალური გადაწყვეტილების საფუძველზე არასოდეს არ გამოუყენებია ისე როგორც ამას კანონი ითხოვს.

*სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს „საარჩევნო მიზნების მქონე პირის“ სტატუსის კერძო თუ იურიდიული პირების მიმართ ოფიციალური გადაწყვეტილების სახით გამოყენება, მან დროულად უნდა აცნობოს როგორც პირს ისე საარჩევნო სუბიექტს, რომელთანაც ეს პირი ასოცირდება, ამ სტატუსის და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ.*

## XI. მედია

### A. საერთო მიმოხილვა

მედია გარემო მრავალფეროვანი იყო, საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლები ისევე როგორც მრავალი ბეჭდური ორგანო მთლიანობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელმისაწვდომი იყო. მართალია მედია საშუალებები მოსაზრებების გარკვეულ მრავალფეროვნებას გამოხატავენ, მაგრამ ისინი კვლავ არიან პოლიტიკური ხაზებით მკვეთრად გაყოფილი, მხოლოდ რამოდენიმე მათგანი ახერხებს შედარებით უფრო დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის წარმოებას.

მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 და 2 არხები, ისევე როგორც რუსთავი 2 და იმედი, რომლებიც კერძო მაუწყებლები არიან და ზოგადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მხარდამჭერებად აღიქმებიან, ფარავენ მთელი ქვეყნის ტერიტორიას. სამი ოპოზიციისკენ გადახრილი კერძო ტელეარხის მატროს,

კავკასიის და ეხლახანს აღდგენილი მეცხრე არხის დაფარვის ზონა თბილისით და სატელიტური ქსელებით შემოიფარგლება<sup>62</sup>. ამან მოქალაქეებს არსებულ სხვადასხვა ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობები შეუზღუდა.

ბეჭდური მედია ისევე როგორც მრავალი ვებსაიტი მომხმარებლებს მრავალფეროვან შეხედულებებს და პოლიტიკურ პოზიციებს სთავაზობდა, ზოგიერთი ამგვარი მოსაზრებები ხელისუფლების მიმართ ღია კრიტიკით გამოირჩეოდა. თუმცა ამ საშუალებების ცირკულაცია, მოხმარება და პოტენციური ზეგავლენა გაცილებით უფრო დაბალია ვიდრე ტელევიზიის ზეგავლენა, რომელიც პოლიტიკური ინფორმაციის ჯერ-ჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული წყაროა.

## **B. საკანონმდებლო ბაზა**

კონსტიტუცია სიტყვის და პრესის თავისუფლების გარანტიას იძლევა და კრძალავს ცენზურას. მედიასთან დაკავშირებული სხვა კანონებია: კანონი მაუწყებლობის შესახებ, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, კანონი გამოხატვის თავისუფლების შესახებ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თავი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. კანონი მაუწყებლობის შესახებ აცხადებს რომ როგორც საზოგადოებრივმა ისე კერძო მაუწყებლებმა ყველა შესაბამისი შეხედულებების პლურალისტურად და არადისკრიმინაციულად გაშუქება უნდა უზრუნველყონ თავიანთ ახალი ამბების გამოშვებებში. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მაუწყებლებს „კვალიფიცირებული სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში წარმოებული საქმიანობის საფუძვლიანი და დაბალანსებული გაშუქებისკენ“ მოუწოდებს. გარდა ამისა კანონი მაუწყებლობის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოებთან და პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებულ ნებისმიერ იურიდიულ პირს სამაუწყებლო ლიცენზიების ქონას უკრძალავს.

საარჩევნო კოდექსში შესულია დებულებები, რომლებიც საარჩევნო კამპანიის მანძილზე მედიის ქცევას არეგულირებს და ასევე მედია საშუალებებს გარკვეული საარჩევნო სუბიექტებისთვის უფასო და ფასიანი საეთერო დროის და საგაზეთო რეკლამის გამოყოფას ავალდებულებს. აღნიშნული დებულებებით ერთმანეთისგან განცალკევებულია კვალიფიცირებული და არაკვალიფიცირებული სუბიექტები: კვალიფიცირებული სუბიექტები არიან ის კანდიდატები ან პოლიტიკური პარტიები, რომლებიც პარლამენტში

<sup>62</sup> 2015 წელს ციფრულ მაუწყებლობაზე დაგეგმილ გადასვლასთან დაკავშირებით 2005 წლის შემდეგ სახმელეთო მაუწყებლობის ლიცენზიები აღარ გაიცემა.

ფრაქციის სახით არიან წარმოდგენილი, ბოლო საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული სისტემით ხმათა მინიმუმ 4 პროცენტი აქვთ მიღებული ან ბოლო ადგილობრივ არჩევნებში პროპორციული სისტემით ხმათა მინიმუმ 3 პროცენტი აქვთ მიღებული. 8 აგვისტოს ცესკოს დადგენილებით 16 საარჩევნო სუბიექტიდან 4 კვალიფიცირებულ საარჩევნო სუბიექტებად იქნა აღიარებული<sup>63</sup>.

თითოეულ კვალიფიცირებულ სუბიექტს თითოეულ კერძო ტელეკომპანიაში უფასო რეკლამისთვის საეთერო დროის 3 საათიდან 90 წამი ხოლო საზოგადოებრივ მაუწყებელზე და სათემო მაუწყებლებზე 60 წამი გამოეყო. კვალიფიცირებულმა სუბიექტებმა აქტიურად გამოიყენეს ეს დრო, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა პოლიტიკური მიზეზებით საკუთარი რეკლამების გარკვეულ ტელევიზიებში განთავსებისგან თავის შეკავება გადაწყვიტა. ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ უფასო პოლიტიკური რეკლამების მედია მონიტორინგმა აჩვენა რომ ყველა სარეკლამო ბლოკი, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 და 2 არხებზე გადიოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეკლამებით იწყებოდა და მთავრდებოდა, რასაც შესაძლოა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის სხვა სუბიექტებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა მიეცა<sup>64</sup>. სხვა საარჩევნო (არაკვალიფიცირებულ) სუბიექტებს უფასო სარეკლამო დრო მხოლოდ საზოგადოებრივ არხზე ეკუთვნოდათ. ამ შემთხვევაში კანონით განსაზღვრული არ არის მათთვის გამოსაყოფი სარეკლამო დროის ოდენობა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თითოეული არაკვალიფიცირებული საარჩევნო სუბიექტისთვის დღეში ორჯერ 15 წამის გამოყოფა გადაწყვიტა. თორმეტი პოლიტიკური პარტიიდან (არაკვალიფიცირებული საარჩევნო სუბიექტიდან) მხოლოდ სამმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა.

ფასიან პოლიტიკურ რეკლამას ძირითადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და შედარებით მცირე მასშტაბით ქართული ოცნება იყენებდა. ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ძირითად ტელეარხებზე საკმაოდ მაღალი იყო, განსაკუთრებით წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე დაწესებული შეზღუდვების ფონზე. ზოგ შემთხვევაში *რუსთავი 2* და *იმედი* ერთ წუთ რეკლამაში 20,000 ლარს ითხოვდნენ, რაც ჩვეულებრივი კომერციული

<sup>63</sup> კვალიფიცირებული სუბიექტები იყვნენ ლეიბორისტული პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ქართული ოცნება.

<sup>64</sup> თავდაპირველად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადა რომ აღნიშნულ უფასო პოლიტიკურ რეკლამებს შემთხვევითი თანმიმდევრულობა ექნებოდათ.

რეკლამის ფასს საგრძნობლად აღემატება<sup>65</sup>. საარჩევნო სუბიექტების გარდა საეთერო დრო ორმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ ნეგატიური რეკლამების ეთერში გადასაცემად შეიძინა; ერთი მათგანი ქართული ოცნების ხოლო მეორე ხელისუფლების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული. იგივე რეკლამები უფასო პოლიტიკური რეკლამის სახით ქართული ოცნების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გადაიციმდა ეთერით.

*სასურველია ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ფასების შეზღუდვის და მათი ჩვეულებრივი კომერციული რეკლამების ფასებთან გათანაბრების შესაძლებლობის განხილვა.*

ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მედია საშუალებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მზარდი კრიტიკის საპასუხოდ და ასევე მედიის ადვოკატირების ჯგუფებთან კონსულტაციების შედეგად ივნისში საარჩევნო კოდექსში Must Carry Must Offer-ის პრინციპი იქნა შეტანილი. ამ დებულების მიხედვით საკაბელო არხებს და სატელიტურ მაუწყებლებს საკუთარ პაკეტებში ყველა იმ ნაციონალური მედია საშუალების ჩართვა დაევალებათ, რომლებსაც სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია გააჩნდათ და რომლებიც საკუთარი გავრცელების არეალში მოსახლეობის 20 პროცენტს ფარავდნენ. მედია საშუალებებს საკაბელო ტელევიზიების პაკეტებში მათი ჩართვის გაპროტესტების უფლება არ ჰქონდათ. მართალია ზოგადად ამ დებულებებმა ხელი შეუწყვეს ტელევიზიებს საკაბელო არხებში მათი სიგნალის გავრცელების გაზრდაში, მათ ძირითადად ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა მოიცვეს<sup>66</sup>. აღნიშნული დებულება მთლიანობაში დადებითად იქნა აღქმული საკაბელო ოპერატორების, ტელევიზიების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. კანონის მიხედვით აღნიშნული დებულების მოქმედება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში იყო სავალდებულო. სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების და ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მოწოდებების შედეგად საკაბელო ტელევიზიების უმრავლესობამ ტელეარხების ეთერში გადაცემა არჩევნების დღეს და მის შემდგომაც გააგრძელეს, რაც მისასაღმებელი მოვლენა იყო.

<sup>65</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიებისთვის განკუთვნილი მედია მონიტორინგის სახელმძღვანელოს მიხედვით „წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ფასიანი საეთერო დროის და სარეკლამო ადგილის ღირებულება კომერციული რეკლამის შესაბამის ღირებულებას არ უნდა აღემატებოდეს“.

<sup>66</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით საქართველოში დაახლოებით 194,000 საკაბელო ტელევიზიების აბონენტი იყო რეგისტრირებული. აბონენტთა უმრავლესობა - დაახლოებით 179,300 კაცი ანუ აბონენტთა 92% თბილისში იყო რეგისტრირებული.

*პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სასურველია Must Carry-ის დებულებების მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანის შესაძლებლობის განხილვა, ამ შემთხვევაში აღნიშნული დებულება მხოლოდ საარჩევნო კამპანიაზე მიბმული არ უნდა იყოს. ამ დებულებებით ასევე უნდა იყოს განსაზღვრული ის თუ ვინ დაფარავს საკაბელო ტელევიზიებში ტელეარხების შეყვანის ხარჯებს.*

სამაუწყებლო მედიის მარეგულირებელი მთავარი ორგანო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაა, რომელიც სამაუწყებლო მედიის ლიცენზირებას და მისი საქმიანობის ზედამხედველობას ახდენს. აღნიშნული კომისია 2000 წელს ჩამოყალიბდა, იგი ხუთი წევრისგან შედგება, რომლებსაც პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით არჩევს და ნიშნავს. წინასაარჩევნო კამპანიის მანძილზე კომისია Must Carry-ის დებულებების განხორციელების ზედამხედველობას ახდენდა, აჯარიმებდა და ლიცენზიებს უჩერებდა საკაბელო ტელევიზიებს იმ შემთხვევაში თუ ისინი კანონის მოთხოვნებს არ ემორჩილებოდნენ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანიებისგან ოთხი საჩივარი მიიღო საკაბელო ტელევიზიების მიერ Must Carry-ის დებულებების განუხორციელებლობის გამო. კომისიამ ოთხივე საჩივარი უარყო და განაცხადა რომ ტელეკომპანიებმა საკაბელო ოპერატორებს შესაბამისი აღჭურვილობა არ მიაწოდა. 30 აგვისტოს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ კომისიაში საჩივარი შეიტანა, რომლითაც ის მეცხრე არხის მიერ ქართული ოცნების წინააღმდეგ მიმართული ნეგატიური რეკლამის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უფასო პოლიტიკური რეკლამის სახით გაშვებაზე უარს აპროტესტებდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას არ მიუღია ინფორმაცია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, მიუხედავად იმისა რომ კანონი კომისიას ამის გაკეთებს საჩივრის მიღებიდან 30 დღეში ავალდებულებს.

როგორც ჩანს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საკმარისი რესურსები არ გააჩნდა მედია მონიტორინგის ჩატარებასთან დაკავშირებული იურიდიული ვალდებულებების განსახორციელებლად<sup>67</sup>. კომისიას მედიის მიერ უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის საეთერო დროის გამოყოფასთან, ფასიანი რეკლამის გაშვებისას თანაბარი პირობების დაწესებასთან და ახალი ამბების და თოქ-შოუების დაბალანსებულობასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეფასება ევალება. მართალია კომისიამ რეაგირება უნდა

<sup>67</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებულმა მედია მონიტორინგმა უჩვენა რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული მედია საშუალებების უმრავლესობაში დაბალანსებული გაშუქების ნაკლებობა იყო.

მოახდინოს პოლიტიკურ რეკლამასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და ამ შემთხვევაში მას კონკრეტული მედია საშუალებების დაჯარიმებაც შეუძლია, მას უფლება არ აქვს ახალ ამბებში და თოქ-შოუებში ბალანსის დარღვევაზე მოახდინოს რეაგირება. კანონის მიხედვით ამგვარი დარღვევები შესაბამისი მედია საშუალებების თვითრეგულირების ორგანოების მიერ უნდა იქნას განხილული. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ექვსი ტელეკომპანიის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით ამ თვითრეგულირების ორგანოებში შეტანილი საჩივარი უარყოფილი იქნა, რადგან მათი აზრით აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია არ იყო „დაინტერესებული მხარე“ და მისი უფლებები პირდაპირ არ ყოფილა დარღვეული. ამ საჩივრების გარდა ძირითადი მედია საშუალებების თვითრეგულირების ორგანოებში სხვა რაიმე სახის საჩივარი არ შესულა.

*შესაძლებელია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის იურიდიული უფლებამოსილების მინიჭება, რომლითაც ის მედია საშუალებების მიერ თანაბარი წვდომის და სამართლიანი მოპყრობის პრინციპების დარღვევის შემთხვევაში სანქციების დაწესებას შეძლებს, აღნიშნული გადაწყვეტილებები კომისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის საფუძველზე უნდა იყოს მიღებული რითაც საჭიროების შემთხვევაში სწრაფი ზომების გატარება იქნება შესაძლებელი.*

### C. მედია მონიტორინგის შედეგები<sup>68</sup>

წინასაარჩევნო კამპანიის მთელს მანძილზე საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლები მრავალ თოქ-შოუს და დებატებს უშვებდნენ ეთერში, რამაც კანდიდატებს საკუთარი შეხედულებების წარმოდგენის პლატფორმა მისცა. თუმცა მათი იურიდიული ვალდებულებების მიუხედავად იმ ტელეკომპანიების უმრავლესობა, რომელთა მონიტორინგსაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია ახდენდა, თავიანთ ახალი ამბების გამოშვებებში და თოქ-შოუებში პარტიების მიმართ ლოიალური სარედაქციო პოლიტიკის დემონსტრირებას ახდენდა. ეს და ძირითად ოპოზიციურად განწყობილი მედია საშუალებების შეზღუდული დაფარვის ზონა მოქალაქეებს მრავალფეროვან ინფორმაციაზე წვდომის საშუალებას უზღუდავდა.

<sup>68</sup> 30 აგვისტოდან წინასაარჩევნო კამპანიის დასრულებამდე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მედია მონიტორინგი ჩატარა, რომლის დროსაც მოხდა რვა ტელეარხის პრაიმტაიმის (18:00-00:00) და ორი გაზეთის სტატიების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი. მონიტორინგს დაექვემდებარა საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 და 2 არხები, აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, იმედი, მეცხრე არხი, მანეტრო და კავკასია. მონიტორინგს ასევე დაექვემდებარა გაზეთი 24 საათი და გაზეთი რეზონანსი.



ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული მედია საშუალებებიდან მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის *პირველმა არხმა* მოახდინა წინასაარჩევნო კამპანიის პოლიტიკურად დაბალანსებულად გაშუქება. *პირველი არხის* ახალი ამბების გამოშვებებში არჩევნების ძირითადი მონაწილეების - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების საქმიანობა ძირითადად პოზიტიურად, ნეიტრალურად და თანაბარი პროპორციით იყო გაშუქებული (შესაბამისად 14 და 18 პროცენტი). მნიშვნელოვანი დრო (შესაბამისად 11 და 10 პროცენტი) ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების და ლეიბორისტული პარტიის საქმიანობის პოზიტიურად გაშუქებას დაეთმო. კიდევ ხუთი საარჩევნო სუბიექტის საქმიანობაც ფართოდ იყო გაშუქებული, თითოეულ მათგანს საეთერო დროის ხუთიდან შვიდ პროცენტამდე ეთმობოდა და გაშუქების ტონი ძირითადად პოზიტიური იყო. ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას უმნიშვნელო დრო ეთმობოდა, პრეზიდენტის საქმიანობის გაშუქებას 2 პროცენტი ხოლო 12 პროცენტი მთავრობის საქმიანობის გაშუქებას დაეთმო. საზოგადოებრივი მაუწყებლის *მეორე არხმა* ყველა ძირითად პოლიტიკურ პარტიას საკუთარი შეხედულებების თავისუფლად და ყოველგვარი მოდერაციის გარეშე წარდგენის საშუალებას აძლევდა, აღნიშნული არხი ასევე ფართოდ აშუქებდა მათ წინასაარჩევნო აქტივობებს.

*აჭარის ტელევიზიამ*, რომელიც რეალურად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნის, ხელისუფლების და მმართველი პარტიის მიმართ მიკერძოებულობა გამოაჩინა რადგან მათ პრაიმტაიმის ახალი ამბების გამოშვებებში საეთერო დროის 82 პროცენტი დაუთმო, რეპორტაჟების ტონი ძირითადად პოზიტიური იყო. აქედან ამ საეთერო დროის დაახლოებით 39 პროცენტი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 20 პროცენტი პრეზიდენტს, 13 პროცენტი მთავრობას და 10 პროცენტი აჭარის მთავრობას დაეთმო. ქართულ ოცნებას მხოლოდ 13 პროცენტი დაეთმო და გაშუქების ტონი ძირითადად ნეგატიური იყო, დანარჩენმა საარჩევნო სუბიექტებმა მთლიანობაში საეთერო დროის 4 პროცენტზე ნაკლები მიიღეს. *აჭარის ტელევიზია* იურიდიული საფუძვლის გარეშე და მაუწყებლობის შესახებ კანონის დარღვევით მაუწყებლობს, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ სამაუწყებლო ლიცენზიების ფლობას კრძალავს. მაუწყებლობის შესახებ კანონში 2005 წელს შეტანილი შესწორებების მიხედვით ხელისუფლებას აჭარის ტელევიზიის „რეორგანიზაციის შესახებ წინადადებების შემუშავება“ 2006 წლის ბოლოსთვის დაევალა. მას შემდგომ აღნიშნული ვადა რამოდენიმეჯერ გადაიწია და კანონში ახალი შესწორებები შევიდა. ბოლო

საბოლოო ვადა 2011 წლის 1 ნოემბერს ამოიწურა, მაგრამ ხელისუფლებისგან სტატუს კვოს ცვლილებასთან დაკავშირებით არავითარი ინიციატივა არ წამოსულა.

**სასურველია აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად ჩამოყალიბების დასრულების შესაძლებლობის განხილვა.**

კერძო ნაციონალური მაუწყებლები *რუსთავი 2* და *იმედი* ასევე ახდენდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ მიკერძოებულობის დემონსტრირებას. ამ ორმა ტელეკომპანიამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის გაშუქებას მნიშვნელოვანი დრო დაუთმო (შესაბამისად 27 და 21 პროცენტი), რეპორტაჟების ტონი ძირითადად პოზიტიური იყო იმ დროს როცა ქართული ოცნების საქმიანობის გაშუქებას შესაბამისად 19 და 29 პროცენტი დაეთმო და გაშუქების ტონი ძირითადად უარყოფითი იყო. ორივე ტელეკომპანიამ მნიშვნელოვანი დრო დაუთმო პრეზიდენტის (შესაბამისად 17 და 22 პროცენტი) და მთავრობის საქმიანობის გაშუქებას (17 და 20 პროცენტი შესაბამისად).

*რუსთავი 2*, *იმედი* და *აჭარის ტელევიზია* ხშირად ერთმანეთისგან არ ანსხვავებდნენ თანამდებობის პირების (რომლებიც ამავე დროს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები იყვნენ) ოფიციალური საქმიანობის და მათ მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში წარმოებული აქტივობების გაშუქებას, რასაც ირიბი სარგებლობა მოჰქონდა მმართველი პარტიისთვის. მაგალითად ფართოდ ხდებოდა პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის საქმიანობების გაშუქება მათი ოფიციალური თანამდებობების ფარგლებში მაშინაც კი როდესაც აშკარად საარჩევნო ღონისძიებებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატების წარდგენისას.

*მეცხრე არხმა* და *მაესტრომ* მათი საინფორმაციო გამოშვებების ყველაზე დიდი ნაწილი (შესაბამისად 47 და 33 პროცენტი) ოპოზიციურ საარჩევნო ბლოკ ქართულ ოცნებას მიუძღვნა, გაშუქების ტონი კი ძირითადად პოზიტიური იყო. ერთიანი ნაციონალური მოძრაობას საეთერო დროის შესაბამისად 17 და 13 პროცენტი დაეთმო და გაშუქების ტონი ძირითადად უარყოფითი და ნეიტრალური იყო. მართალია მონიტორინგის პირველი ორი კვირის განმავლობაში *კავკასია* ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების საქმიანობის გაშუქებას დაახლოებით თანაბარ დროს უთმობდა წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო სამი კვირის განმავლობაში ქართული ოცნების საქმიანობის გაშუქება საგრძნობლად გაიზარდა. მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში *კავკასიამ* თავისი საეთერო დროის უდიდესი ნაწილი (29 პროცენტი) ქართული ოცნების საქმიანობის გაშუქებას დაუთმო, თუმცა ამავე დროს ის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქრისტიან-

დემოკრატიული გაერთიანების საქმიანობის პოზიტიურად და ნეიტრალურად გაშუქებას მნიშვნელოვან დროს უთმობდა (შესაბამისად 15 და 7 პროცენტი).

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგს დაქვემდებარებული ბეჭდური მედია საშუალებები მრავალ სხვადასხვა შეხედულებებს აშუქებდნენ, 24 საათი ხელისუფლებას უჭერდა მხარს ხოლო რეზონანსი მთავრობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კრიტიკას ეწეოდა და ამავე დროს ქართული ოცნების მხარდაჭერის დემონსტრირებას ახდენდა.

## XII. საჩივრები და აპელაციები

ახალი საარჩევნო კოდექსის ფარგლებში დავების მოგვარების და საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების სწრაფად გადაწყვეტის მექანიზმი იქნა შემუშავებული. მოხდა საჩივრების შეტანის ვადების განსაზღვრა და გამოიყო დამატებითი დღე საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე საჩივრების შესატანად. საჩივრების შეტანა და გადაწყვეტილებების მიღება ერთიდან სამ კალენდარულ დღეში უნდა მოხდეს. ორი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საბოლოოა<sup>69</sup>. ცესკომ ჩამოაყალიბა საჩივრების წარდგენის ფორმის სტანდარტი, რამაც პროცესი გაადვილა ცესკომ ასევე ჩაუტარა ტრენინგები პარტიების იურისტებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს დავების გადაწყვეტის პროცესის შესახებ, ასევე მათ შესაბამისი სახელმძღვანელო გადაეცათ. საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა ასევე გაიარეს მომზადება არჩევნების დღეს საჩივრებთან დაკავშირებული პროცესის შესახებ. საჩივრების პარალელური განხილვის სისტემის შესაძლებლობა მთლიანობაში გაუქმებული იქნა ისე როგორც ეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ იქნა რეკომენდირებული. თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიების ან სასამართლოების მეშვეობით საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების დღეს მიღებული გარკვეული გადაწყვეტილებების და ქმედებების გასაჩივრების საშუალება კვლავ რჩება<sup>70</sup>. ამ დებულების დატოვებას მომჩივანების დაბნევა და კომისიებისა და

<sup>69</sup> ორი სხვადასხვა სასამართლოს - თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულმა საბოლოო გადაწყვეტილებებმა გადაწყვეტილებების მიღების არათანმიმდევრული სისტემა შეიძლება გამოიწვიოს. გარდა ამისა როგორც ჩანს ამ სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრება შეუძლებელია.

<sup>70</sup> აქ არ იგულისხმება ის გადაწყვეტილებები, რომლებითაც შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღება ხდება.

სასამართლოების მიერ ერთმანეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია გამოიწვიოს რასაც შეიძლება საჩივრების ეფექტურად და სწრაფად განხილვის სისტემის საფრთხის ქვეშ დადგომა მოჰყვეს<sup>71</sup>.

*საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების დღეს მიღებული გარკვეული გადაწყვეტილებების და გადადგმული ნაბიჯების საოლქო საარჩევნო კომისიებში ან სასამართლოებში გასაჩივრების შესაძლებლობა ამოღებული უნდა იქნას საარჩევნო კოდექსიდან იმისთვის რათა საჩივრების ეფექტურად განხილვა ბოლომდე იყოს უზრუნველყოფილი.*

წინასაარჩევნო პერიოდში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ საარჩევნო ადმინისტრაციაში და სასამართლოებში 236 საჩივრის შეტანის ფაქტი დააფიქსირა. საჩივრები ძირითადად ქართული ოცნების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული წევრების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ იქნა შეტანილი<sup>72</sup>. საჩივრების დაახლოებით ერთი მესამედი ქალების მიერ იყო შეტანილი. საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული თვრამეტი გადაწყვეტილება სასამართლოში იქნა გასაჩივრებული, არცერთი მათგანი არ დაკმაყოფილებულა. უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით 12 აგვისტოდან 12 ოქტომბრამდე პერიოდში სასამართლოების მიერ 106 საქმე იქნა განხილული, მათ შორის 49 სააპელაციო სარჩელი იყო. 22 სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მათ შორის ორი სააპელაციო სარჩელი იყო. მთლიანობაში სარჩელების და აპელაციის პროცესი ეფექტურობით, დასაბუთებული გადაწყვეტილებებით და გამჭვირვალების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით ეს ცესკოს დონეზე საჩივრების განხილვას ეხება. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შედარებით ნაკლები ნდობით სარგებლობდა.

საარჩევნო კომისიებს დარღვევების შესახებ ადმინისტრაციული ოქმების საქალაქო ან საოლქო სასამართლოებში წარდგენა და შესაბამისი ადმინისტრაციული სანქციების დაწესების მოთხოვნა შეეძლო. დარღვევის სახეობიდან გამომდინარე სასამართლოები

<sup>71</sup> იხილეთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების 2-ე მუხლი, ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის 13-ე მუხლი და 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10-ე პარაგრაფი.

<sup>72</sup> 2 საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიებში, 132 საოლქო საარჩევნო კომისიებში და 83 ცესკოში იქნა შეტანილი. სასამართლოში შეტანილი ყველა საჩივარი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეხებოდა, მხოლოდ ერთი საჩივარი ეხებოდა პატივის და ღირსების შემლახავი მოპყრობის საკითხს. აქედან 138 საჩივარი არ იქნა მიღებული ან მათი უარყოფა მოხდა.

გადაწყვეტილებას სამიდან თხუთმეტ დღემდე ვადაში იღებენ. საარჩევნო პროცესის განმავლობაში ცესკომ და საუბნო საარჩევნო კომისიებმა 61 ოქმი შეადგინეს აქედან ოთხი უარყოფილი იქნა. საჯარო მოხელეებისთვის და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები 1,000-დან 2,000 ლარამდე მერყეობდა.

პროკურატურამ ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის 7 ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო<sup>73</sup>. აქედან ორ შემთხვევაში ქონების დაყადაღების და ექვმიტანილების დაკავების გადაწყვეტილება როგორც ჩანს საექვო იურიდიულ საფუძველზე იქნა მიღებული. ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებული საქმე „შ.პ.ს. გლობალ“-ს და „შ.პ.ს. მაესტროს“ ეხებოდა, რომლებმაც სატელიტური ქსელის გაფართოებას სატელიტური თეფშების და რისივერების დარიგებით შეეცადნენ. „შ.პ.ს. გლობალის“ და „შ.პ.ს. მაესტროს“ შემთხვევაში არცერთი ექვმიტანილი არ დასახელებულა ან დამნაშავედ არ ყოფილა ცნობილი. ამის მიუხედავად სასამართლომ ორივე კომპანიის სატელიტური თეფშები და ტელეაღჭურვილობა იმ მოტივით დააყადაღა რომ „ისინი ამომრჩეველთა მოსყიდვისთვის იყო განკუთვნილი“<sup>74</sup>. ამ ქონებას ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლომ მხოლოდ არჩევნების დღის შემდეგ მოუხსნა იმ მიზეზით რომ „დაყადაღების საფუძვლები აღარ არსებობდა“<sup>75</sup>. კიდევ ერთ შემთხვევაში, რომელსაც „ქუთაისის საქმეს“ უწოდებენ, დაკავებული ექვმიტანილები არჩევნების დღიდან რამოდენიმე დღეში გაანთავისუფლეს<sup>76</sup>.

კიდევ ერთი საქმე მერაბ კაჭახიძეს ეხებოდა, რომელიც ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის ბრალდებით ივლისში, არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადებამდე, დააპატიმრეს. პატიმრობის პერიოდში ის ქართული ოცნების ოფიციალურ კანდიდატად იქნა დასახელებული და საბოლოო ჯამში ის პარლამენტში აირჩიეს. 14 სექტემბერს დანიშნული სასამართლო განხილვის მიზანი მხოლოდ მის მიერ ამომრჩეველების სავარაუდოდ მოსყიდვის საკითხის განხილვას უნდა დათმობოდა, თუმცა ამის მაგივრად ამ დღეს კაჭახიძის პატიმრობის ვადის 8 ოქტომბრამდე გახანგრძლივება მოხდა, 8 ოქტომბერს მან სახელმწიფო ბიუჯეტში 500 ლარიანი ჯარიმა გადაიხადა და იგი მეორე დღეს

<sup>73</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით არცერთ ამ შვიდ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოებს საქმის არსზე გადაწყვეტილება არ მიუღია და ამომრჩეველთა მოსყიდვის ბრალდებით არცერთი ექვმიტანილი არ ყოფილა დამნაშავედ ცნობილი.

<sup>74</sup> იხილეთ სასამართლოს 21 და 25 ივნისის გადაწყვეტილებები („შ.პ.ს. გლობალი“), სასამართლოს 14 ივნისის გადაწყვეტილება და 11 და 15 ივლისის ადმინისტრაციული ოქმები („შ.პ.ს. მაესტრო“).

<sup>75</sup> იხილეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება.

<sup>76</sup> დაკავებული ექვმიტანილები იყვნენ მიხეილ ამაშუკელი, მიხეილ მესხი და გაგა ამბროლაძე.

განთავისუფლეს<sup>77</sup>. მისი პატიმრობის ვადის გახანგრძლივების საფუძველი გაურკვეველი დარჩა<sup>78</sup>.

ხელისუფლებამ აღიარა რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული პროცედურები ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სამართლებრივი პროცედურების დაცვის გარანტიას არ იძლეოდა, ამჟამად შესაბამისი კოდექსის გადახედვა მიმდინარეობს<sup>79</sup>. წინასარჩევნო კამპანიის განმავლობაში სიტყვიერი შეურაცხყოფის ბრალდებით მინიმუმ სამი ადამიანის დაკავება მოხდა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება, რაც უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევაა<sup>80</sup>. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ხელისუფლებას ადმინისტრაციული დაკავებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდნენ<sup>81</sup>. გარდა ამისა ზოგიერთი თანამოსაუბრე წინასარჩევნო კამპანიის ბოლო ათი დღის მანძილზე დაკავებების მზარდი რაოდენობის გამო შეშფოთებას გამოხატავდა<sup>82</sup>.

***სასურველია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების პრიორიტეტული წესით დასრულება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული პროცედურების ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს***

<sup>77</sup> გამოშვებული იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1681-ე მუხლის საფუძველზე გაცემული განკარგულებით, რომლის მიხედვით პროკურატურას გამოძიების შეწყვეტის უფლება აქვს იმ შემთხვევაში თუ ეჭვმიტანილი მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს დაემორჩილება.

<sup>78</sup> თავდაპირველი შუამდგომლობა როგორც ჩანს შინაგან საქმეთა სამინისტროს და არა პროკურატურის მიერ იქნა დაყენებული, რაც სერიოზულ პროცედურულ დარღვევას ნიშნავს.

<sup>79</sup> იხილეთ ევროპის საბჭოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მიმოხილვა, რომელიც 2012 წლის ივნისით არის დათარიღებული: [www.coe.int/t/dghl/cooperation/capacitybuilding/Source/expertises/Opinion%20Georgia%20Admin%20Offences%20Code.pdf](http://www.coe.int/t/dghl/cooperation/capacitybuilding/Source/expertises/Opinion%20Georgia%20Admin%20Offences%20Code.pdf).

<sup>80</sup> აღნიშნული საქმეები ეხებოდა ქართული ოცნების აქტივისტებს კალამადინ მამედოვს, ნატიკ რასოლოვს და კაპიტონ ჟორჟოლიანს. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები როგორც ჩანს ეწინააღმდეგებოდა ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვით სამართლიანი სასამართლოს უფლება, მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმპცია, ადმინისტრაციულ სანქციებსაც ეხება (ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (5100/71) და სალაბაკუ საფრანგეთის წინააღმდეგ (10519/83)).

<sup>81</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 25 სექტემბრის განცხადება.

<sup>82</sup> ამის საპასუხოდ 28 სექტემბერს უწყებათმშორისმა კომისიამ 44 პირის დაკავება დაადასტურა და აღნიშნა რომ მიმდინარე წელს ადმინისტრაციული დაკავებების რიცხვი წინა წლის საშუალო მონაცემების ფარგლებში იყო. (იხილეთ ასევე თავი საარჩევნო კამპანიის შესახებ).

*პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობაში მოყვანა რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება.*

### XIII. ეროვნული უმცირესობების ჩართულობა

ეროვნულ უმცირესობებს საქართველოს კონსტიტუციით სრული პოლიტიკური უფლებები გააჩნიათ, 2002 წლის აღწერის მიხედვით ეროვნული უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 16.2 პროცენტს შეადგენენ. ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობებია აზერბაიჯანელები (6.5 პროცენტი) და სომხები (5.7 პროცენტი). რემოდენიმე პარტიამ და ბლოკმა საკუთარ პარტიულ სიებში კანდიდატებად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც დაასახელეს, მათ მაჟორიტარობის კანდიდატებად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ისეთ ოლქებში წარადგინეს სადაც დიდია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რიცხვი მაგალითად ახალქალაქში და ნინოწმინდაში (სომხები) და მარნეულში (აზერბაიჯანელები). მიმავალ პარლამენტში მხოლოდ 6 დეპუტატი (4 პროცენტი) იყო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი, გარდა ამისა ეროვნული უმცირესობები ნაკლებად არიან წარმოდგენილი საკრებულოების დონეზეც.

ცესკოს მონაცემებით 12 საარჩევნო ოლქი და 338 საარჩევნო უბანი ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში იყო განლაგებული. სულ საუბნო საარჩევნო კომისიებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი 2,774 ადამიანი მუშაობდა, აქედან 757 ქალი იყო. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ცესკომ თარგმნა ამომრჩეველთა სიები, ბიულეტენები და ოქმები და ეროვნული უმცირესობების ენებზე ტრეინინგები ჩაატარა<sup>83</sup>. გარდა ამისა ცესკოს გახსნილი ჰქონდა სამენოვანი ცხელი ხაზი და რეგულარულად უშვებდა ეთერში ამომრჩევლებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. აღნიშნული მისასალმებელი ინიციატივები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან ერთად იქნა შემუშავებული<sup>84</sup>.

<sup>83</sup> გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის საერთო კომენტარი #25-ის 12-ე პარაგრაფის მიხედვით „ხმის მიცემის თაობაზე ინფორმაცია და მასალები უმცირესობების ენებზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი“

<sup>84</sup> იხილეთ შუალედური ანგარიში ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობების შესახებ: [www.cec.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=147&info\\_id=9911](http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=147&info_id=9911).

#### XIV. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

ცესკომ ამ არჩევნებზე დასაკვირვებლად 50 ადგილობრივი და 61 საერთაშორისო ორგანიზაცია დაარეგისტრირა. ცესკომ არ დააკმაყოფილა 27 ორგანიზაციის მიერ შემოტანილი თხოვნა ძირითადად პროცედურული დარღვევების ან დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის არ მოწოდების გამო. მთლიანობაში ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა აკრედიტაცია დაახლოებით 62,115 ადგილობრივ და 1,641 საერთაშორისო დამკვირვებელს მისცა. ამ რაოდენობის ადგილობრივი დამკვირვებლის აქტიურმა მონაწილეობამ პროცესის ტრანსპარენტულობის ზრდას შეუწყო ხელი. სამოქალაქო საზოგადოებამ და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა მათ შორის სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ საარჩევნო პროცესის მხარდასაჭერად და არჩევნების მონიტორინგისთვის გარკვეული საქმიანობა გასწიეს, მათ შორის მათ წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვება, საოლქო საარჩევნო კომისიების და მედია საშუალებების მუშაობის მონიტორინგი, სატელეფონო ცხელი ხაზების და საინფორმაციო ვებსაიტების გახსნა, ამომრჩეველთა სიების გადამოწმება და არჩევნების დღეს ადგილებზე დამკვირვებლების განლაგება მოახდინეს. გარდა ამისა არჩევნების დღემდე არჩევნებზე დამკვირვებლებად პარტიების, ბლოკების და კანდიდატების 33,000-ზე მეტი წარმომადგენელი, ისევე როგორც 3,295 ჟურნალისტი, იყო დარეგისტრირებული.

#### XV. არჩევნების დღე

მთლიანობაში არჩევნების დღემ მთელი ქვეყნის მასშტაბით მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, ცესკოს მონაცემებით ამომრჩეველთა აქტივობა 61.31 პროცენტი შეადგინა. საერთაშორისო დამკვირვებლები პროცესს მთელი დღის განმავლობაში 165 საარჩევნო უბანზე მათი გახსნის დროს, 1,450 უბანზე ხმის მიცემის პროცესის განმავლობაში, 157 უბანზე ხმების დათვლის დროს და 42 საოლქო საარჩევნო კომისიაში შედეგების შეჯამების დროს აკვირდებოდნენ.

საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნების დღის ყველა ეტაპი პოზიტიურად შეაფასეს, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები მთლიანობაში პროცედურებს იცავდნენ, თუმცა ხმების დათვლის და შეჯამების პროცესმა ნაკლებად პოზიტიური შეფასება მიიღო. ცესკომ წინასწარი შედეგების გასაჯაროება და ოქმების საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნება



არჩევნების მეორე დღეს დილით ადრე დაიწყო, რამაც გამჭვირვალებას ხელი შეუწყო<sup>85</sup>. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლების მიერ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიებისგან ან საოლქო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების შედეგებსა და მოგვიანებით ცესკოს ვებსაიტზე გამოქვეყნებულ შედეგებს შორის შეუსაბამობები აღმოჩენილი არ ყოფილა<sup>86</sup>.

#### A. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი

საარჩევნო უბნების გახსნასთან დაკავშირებული პროცედურები მთლიანობაში დაცული იყო და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლებმა აღნიშნული პროცესი პოზიტიურად მონიტორინგს დაქვემდებარებული 165 საარჩევნო უბნიდან 146-ში შეაფასეს (89 პროცენტი). იმის მიუხედავად რომ როგორც ჩანს საარჩევნო უბნებზე მომუშავე პირებმა იცოდნენ პროცედურები დამკვირვებლებმა დააფიქსირეს რომ ამომრჩეველთა და მიღებული ბიულეტენების რაოდენობა შესაბამისად 17 და 22 საარჩევნო უბანზე არ ყოფილა გამოცხადებული და აღრიცხული. მთლიანობაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ისევე როგორც ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები თითქმის ყველა იმ საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ, რომელთა მონიტორინგიც მოხდა ამ უბნების გახსნის დროს. საარჩევნო უბნების უმრავლესობა დროულად გაიხსნა, 15 წუთზე მეტი დაგვიანებით გახსნა მხოლოდ 165-დან 12 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა.

ხმის მიცემის პროცესი მთლიანობაში კარგად იყო ორგანიზებული და ადგილზე მომუშავე საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები პროცესს კომპეტენტურად და პროფესიონალურად უძღვებოდნენ. დამკვირვებლებმა ეს პროცესი პოზიტიურად

<sup>85</sup> ცესკოს ვებგვერდზე განხორციელებული კიბერ შეტევის გამო წინასწარი შედეგების გამოქვეყნება და საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების ვებსაიტზე ატვირთვა არჩევნების მეორე დღეს დილის საათებში რამოდენიმე საათით შეფერხდა.

<sup>86</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ხმების დათვლის და დაჯამების შემდეგ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების შემაჯამებელი 477 ოქმი შეამოწმა. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ ორი საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების შემაჯამებელი ოქმი აღმოაჩინა, რომლებშიც მნიშვნელოვანი შეუსაბამობები იყო დაფიქსირებული, ერთ-ერთი მათგანი სიღნაღის 13-ე საარჩევნო ოლქის 5-ე საუბნო საარჩევნო კომისიისგან მიღებული ოქმი იყო სადაც საბოლოო ჯამში არჩევნების შედეგები გაუქმდა და ხელახალი არჩევნები გაიმართა. იხილეთ: <http://transparency.ge/en/post/general-announcement/fraudulent-protocol-deci>.

მონიტორინგს დაქვემდებარებულ საარჩევნო უბნების 93 პროცენტში შეაფასეს, ხოლო ნეგატიური შეფასება ამ საარჩევნო უბნების 7 პროცენტს ერგო. პროცესი უფრო ნეგატიურად რაიონებში შეფასდა (9 პროცენტი) იმ დროს როდესაც ქალაქებში ეს პროცესი ნეგატიურად საარჩევნო უბნების მხოლოდ 5 პროცენტში შეფასდა<sup>87</sup>. ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ (95 და 99 პროცენტი შესაბამისად). თუმცა მათი ადგილზე ყოფნამ ამომრჩევლების მაღალ აქტიურობასთან ერთად მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 12 პროცენტში ზედმეტი ხალხმრავლობა გამოიწვია, რამაც თავის მხრივ ამ საარჩევნო უბნების შიგნით და გარეთ გარკვეული დამაბულობა გამოიწვია. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 6 პროცენტის შიდა განლაგება არაადეკვატურად შეფასდა, დამკვირვებლებმა ასევე აღნიშნეს რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 5 პროცენტში მათი მუშაობა შეზღუდული იყო. იქ სადაც ამგვარი პრობლემები იყო დაფიქსირებული ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლები შედარებით უფრო ნეგატიურ საერთო შეფასებას იძლეოდნენ.

არაუფლებამოსილი პირები 52 საარჩევნო უბანზე (4 პროცენტი) იმყოფებოდნენ ხოლო 15 უბანზე ისინი საარჩევნო პროცესში ერეოდნენ<sup>88</sup>. გარდა ამისა ვრცელდებოდა ინფორმაცია პარტიების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ან ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ საარჩევნო პროცესში ჩარევის ან ამომრჩევლების დაშინების ფაქტების თაობაზე<sup>89</sup>. რამოდენიმე შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი დამკვირვებლები ღიად აფიქსირებდნენ რომ ისინი კონკრეტული კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლები იყვნენ ან სხვა მხრივ გამოხატავდნენ თავიანთ მიკერძოებულობას.

***სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა ორგანიზაციებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა უნდა უზრუნველყონ საარჩევნო უბნებზე მყოფი მათი წარმომადგენლების***

<sup>87</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გორში მივლინებულმა დამკვირვებლებმა ხმის მიცემის პროცესი ცუდად ან ძალიან ცუდად საარჩევნო უბნების 17 პროცენტში შეაფასეს, ხოლო თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში და სამტრედიიაში მყოფმა დამკვირვებლებმა შედარებით უკეთესი შეფასება გააკეთეს (საარჩევნო უბნების მხოლოდ 2-4 პროცენტში იქნა ცუდი ან ძალიან ცუდი შეფასება გაკეთებული).

<sup>88</sup> უცხო პირების მიერ არჩევნების პროცესში ჩარევის შემთხვევები ყველაზე ხშირად ახალქალაქში, მარნეულში და მცხეთაში ფიქსირდებოდა.

<sup>89</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლებმა 40 განსაკუთრებული სადამკვირვებლო ანგარიში მოამზადეს, რომლებშიც აღნიშნული იყო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების შეუსაბამო ან დაშინებისკენ მიმართულ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები.

*შესაბამისად მომზადება, რათა მათ დაკვირვების პროცესში დაიცვან მიუკერძოებლობა და ასევე მოხდეს იმ დებულებების პატივისცემის უზრუნველყოფა, რომლებიც დამკვირვებლების მიერ ხმის მიცემის და ხმების დათვლის პროცესებში ჩარევას კრძალავენ და დაკვირვების პროცესში მიუკერძოებლობის შენარჩუნებას გულისხმობენ.*

ხმის მიცემის პროცესში გარკვეული პროცედურული პრობლემების იდენტიფიცირება მოხდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლებმა შენიშნეს რომ ამომრჩევლების მიერ ხმის მიცემა ყოველთვის საიდუმლოდ არ ხდებოდა, ასევე მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 5 პროცენტში ჯგუფურად ხმის მიცემის შემთხვევები დაფიქსირდა. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 7 პროცენტში მარკირების სითხის (რომელიც მრავალჯერადი ხმის მიცემის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება) გამოყენებასთან და შემოწმებასთან დაკავშირებით გარკვეული არათანმიმდევრულობა იქნა დაფიქსირებული. იმისთვის რომ ბიულეტენი ნამდვილად ჩაითვალოს მასზე მისი გამცემი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ხელმოწერა და მეორე მხარეს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი უნდა იყოს დაფიქსირებული. ეს ხმის მიცემის საიდუმლოების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით გარკვეულ კითხვებს ბადებს<sup>90</sup>.

*თუ გადაწყდება ბიულეტენებზე ხელმოწერის და ბეჭდის დასმის დებულების დატოვება მაშინ ხელმოწერის და ბეჭდის დასმის პროცედურა ამომრჩევლისთვის ბიულეტენის გადაცემისას არ უნდა მოხდეს.*

ამომრჩეველთა იდენტიფიცირების პროცედურები მთლიანობაში სრულდებოდა. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების რვა პროცენტში დამკვირვებლებმა ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემაში მონაწილეობაზე უარის თქმის ფაქტები დააფიქსირეს, რადგან აღმნიშნული ამომრჩევლების გვარები ამომრჩეველთა სიაში არ აღმოჩნდა. საარჩევნო უბნების ხუთ პროცენტში ამომრჩევლებს ხმის მიცემაში მონაწილეობაზე უარი შესაბამისი პირადობის მოწმობის არ ქონის გამო ეთქვათ. ამომრჩევლების მიერ პირადობის მოწმობების არ ქონა გასნაკუთრებით ხშირად ციხეებში და წინასწარი დაკავების დაწესებულებებში განლაგებულ სპეციალურ საარჩევნო უბნებზე ფიქსირდებოდა<sup>91</sup>.

*იმისათვის რომ ციხეებში და წინასწარი დაკავების დაწესებულებებში მოთავსებული ყველა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის უფლების გამოყენება იქნას უზრუნველყოფილი ამგვარ დაწესებულებებში ამომრჩეველთა სიების შედგენაზე*

<sup>90</sup> იხილეთ საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის 34-ე პარაგრაფი.

<sup>91</sup> 58-ე საარჩევნო ოლქის 68-ე საარჩევნო უბანი წყალტუბოს ციხეში მდებარეობდა.

*პასუხისმგებელმა პირებმა ყველა იქ მყოფი ამომრჩევლის მიერ შესაბამისი პირადობის მოწმობის ქონა უნდა უზრუნველყონ.*

## **B. ხმების დათვლა**

მართალია ხმების დათვლის პროცედურები მთლიანობაში დაცული იყო, მაგრამ დამკვირვებლებმა ეს პროცესი ხმის მიცემის პროცესთან შედარებით ნაკლებად პოზიტიურად შეაფასეს, უარყოფითი შეფასება მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების თითქმის ერთ მეექვსედში (159-დან 25 საარჩევნო უბანზე) იქნა დაფიქსირებული. საარჩევნო ყუთის გახსნის წინ ჩასატარებელი პროცედურები ყოველთვის დაცული არ ყოფილა. ამომრჩეველთა ხელმოწერები არ იყო დათვლილი და შედეგები გამოცხადებული 12 საარჩევნო უბანზე, საარჩევნო ყუთების გახსნამდე გამოუყენებელი ბიულეტენების გაუქმება კუთხის ჩამოჭრის (25 შემთხვევა) ან შესაბამისი წესით შენახვის (12 შემთხვევა) მეშვეობით არ მომხდარა. ამგვარმა ნაკლოვანებებმა არჩევნების პატიოსნად ჩატარებისთვის საფრთხის შექმნის პოტენციალი შექმნა. არსებობდა იმის ნიშნები რომ მანამდე რამოდენიმე საარჩევნო უბანზე საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაყრა მოხდა<sup>92</sup>.

მონიტორინგს დაქვემდებარებულ 157 საარჩევნო უბნიდან 42-ში საუბნო საარჩევნო კომისიებს გარკვეული პრობლემები ჰქონდათ შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსებასთან დაკავშირებით, რამაც პროცედურული შეცდომები და ნაკლოვანებები გამოიწვია, მათ შორის მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების ერთ მეათედში ოქმებზე ხელის წინასწარ მოწერის სახით. შედეგების შემაჯამებელი ოქმები ყოველთვის გამოკრული არ ყოფილა ისე როგორც ამას კანონი მოითხოვს, რაც გამჭვირვალების ხარისხს ამცირებდა.

*საჭიროა საარჩევნო კომისიის წევრების შემდგომი გადამზადება, ამ პროცესში ხაზგასმული უნდა იყოს პროცედურების გამოყენებისას თანმიმდევრულობის პრინციპის დაცვის აუცილებლობა, განსაკუთრებული ყურადღება შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსებას უნდა დაეთმოს.*

<sup>92</sup> ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლების ინფორმაციით კასპის 30-ე საარჩევნო ოლქში ოთხ საარჩევნო უბანზე გადასატან საარჩევნო ყუთებში კონვერტების დასტა იყო ჩაყრილი; იგივე დაფიქსირდა ზუგდიდის 67-ე საარჩევნო ოლქის 90-ე საარჩევნო უბანზე და ხაშურის 35-ე საარჩევნო ოლქის 8-ე საარჩევნო უბანზე. ხაშურში 8-ე საარჩევნო უბნის შედეგები დარღვევების და განმეორებითი ხმის მიცემის ფაქტების გამო გაბათილებული იქნა, ამ უბანზე მოგვიანებით განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლების მონიტორინგს დაქვემდებარებულ თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე ჩატარებულ ხმების დათვლის პროცესს პარტიების ან კანდიდატების წარმომადგენლები (99 პროცენტი) და ადგილობრივი დამკვირვებლები (97 პროცენტი) ესწრებოდნენ. არაუფლებამოსილი პირები მხოლოდ ოთხ საარჩევნო უბანზე იქნა დაფიქსირებული; თუმცა ყველა ამ შემთხვევაში ისინი ხმების დათვლის პროცესში ერეოდნენ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლებმა ხმების დათვლის პროცესში (ხმის მიცემის პროცესის მსგავსად) კვლავ დააფიქსირეს უფლებამოსილი პირების არასათანადო ქცევა და ზოგიერთი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და პარტიების წარმომადგენლებს შორის განსხვავების ნაკლებობა<sup>93</sup>.

იმ საარჩევნო უბნებზე, რომლებსაც სპეციალურ „სამხედრო“ საარჩევნო უბნებზე მიცემული ხმების დათვლა დაევალიათ, აღნიშნული პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ზოგ შემთხვევაში ასეთ უბნებზე ხმების დათვლის პროცესი რვა საათზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა<sup>94</sup>. ამგვარ საარჩევნო უბნებზე სპეციალური უბნებიდან შემოსული ბიულეტენები და აღნიშნულ უბანზე არსებული ბიულეტენები ერთად ითვლებოდა და შედეგები ერთიან შემაჯამებელ ოქმში აღირიცხებოდა. ზოგ შემთხვევაში ამ შერეულ უბნებზე 2,786-მდე რეგისტრირებული ამომრჩეველი ირიცხებოდა, რაც საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ლიმიტს (1,500 ამომრჩეველი) აღემატებოდა<sup>95</sup>.

***სპეციალურ უბნებზე მიცემული ხმების დათვლა და აღრიცხვა (თუ ამ უბნებზე ხმას 50 ამომრჩეველზე მეტი აძლევს) ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულ ხმებთან ერთად დათვლის მაგივრად ცალკე უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა სასურველია რომ***

<sup>93</sup> მაგალითად გორის 32-ე საარჩევნო ოლქის 99-ე საარჩევნო უბანზე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი დამკვირვებელი, რომელსაც ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორად“ მოიხსენიებდნენ, რჩევებს იძლეოდა და ხმების დათვლის დროს ბიულეტენებს განკარგავდა.

<sup>94</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია ხმების დათვლის პროცესს 29 ისეთ საარჩევნო უბანზე დაესწრო, რომლებზეც ხმების დათვლის მიზნით სპეციალური საარჩევნო უბნები იყო მიმდგომი (შერეული უბნები).

<sup>95</sup> მართალია საარჩევნო კოდექსის 23.1-ე მუხლის მიხედვით თითოეულ უბანზე ამომრჩეველთა რაოდენობა 1,500-ს არ უნდა აღემატებოდეს, მაგრამ ცესკოს 3 თებერვლის 6/2012 განკარგულებით აღნიშნული შეზღუდვა შერეული უბნებისთვის ფაქტობრივად მოხსნილი იქნა. სამგორის (თბილისი) 6-ე საარჩევნო ოლქის ჩვეულებრივ 83-ე საარჩევნო უბანზე და მასზე მიმდგომი სპეციალურ 122-ე საარჩევნო უბანზე მთლიანად 2,786 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.

*ჩვეულებრივი და სპეციალური უბნების ერთმანეთთან მიბმისას რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობასთან დაკავშირებით გარკვეული გონივრული ლიმიტები იქნას დაწესებული.*

მართალია ხმების დათვლის პროცესში პროცედურები მთლიანობაში დაცული იყო, დამკვირვებლების ინფორმაციით 18 შემთხვევაში ბიულეტენების ნამდვილობის სწორად და თანმიმდევრულად დადგენა არ მომხდარა<sup>96</sup>. მოგვიანებით ცესკომ დაადგინა რომ ქვეყნის მასშტაბით ბიულეტენების საერთო რაოდენობის 2.83 პროცენტი გაუქმებული იქნა<sup>97</sup>. 17 შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიებმა შედეგების შემაჯამებელი ისეთი ოქმები შეავსეს, რომლებსაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ხელი წინასწარ მოაწერეს. სხვა მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები და ნაკლოვანებები 22 შემთხვევაში იქნა დაფიქსირებული. ხმების დათვლის დადგენილი პროცედურების ამ დარღვევებმა დამკვირვებლების მიერ ხმების დათვლის პროცესის საერთო შეფასებაზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია.

შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიებს ამ ოქმების ასლები ცესკოსთვის ფაქსით უნდა გადაეგზავნათ (თუ ამისი შესაძლებლობა იარსებებდა). ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ხმების დათვლის დროს ოქმების ფაქსით გაგზავნის ფაქტი მონიტორინგს დაქვემდებარებულ 56 საარჩევნო უბანზე დააფიქსირა. უმრავლესობა შემთხვევაში ყველა უფლებამოსილმა პირმა, რომლებიც ხმების დათვლის პროცესს ესწრებოდა, შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლები მათი მოთხოვნის შედეგად მიიღეს<sup>98</sup>.

იმის მიუხედავად რომ მთლიანობაში არჩევნების დღემ მშვიდ გარემოში ჩაიარა, ხაშურში იზოლირებულ შემაშფოთებელ ინციდენტებს ჰქონდა ადგილი. შუადამის შემდეგ ხმების დათვლის დროს ფორმიანი ჯგუფი, რომელიც როგორც ამბობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმს წარმოადგენდა, ზოგიერთ საარჩევნო

<sup>96</sup> ბიულეტენების გაუქმების ხშირი მიზეზი იყო ამომრჩევლების მიერ სასურველი პარტიის თუ კანდიდატის ნომრის შემოხაზვასთან ერთად სხვა პარტიების თუ ნომრების გადახაზვის შემთხვევები. მართალია ამგვარი ქმედება, რომელიც ხმის მიცემის მოძველებულ პრაქტიკას ასახავს, ბიულეტენის გაბათილების მიზეზად ითვლება, ამ თემაზე კამათი მაინც შესაძლებელია რადგან ამომრჩევლის ნების განსაზღვრა ამ მეთოდითაც შესაძლებელია.

<sup>97</sup> ცესკოს მიერ დასახელებული გაბათილებული ბიულეტენების ეს პროცენტული რაოდენობა პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებს ეხება. ცესკოს შემაჯამებელ ოქმში არ არის მოცემული მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების დროს გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობა.

<sup>98</sup> დანარჩენი შემთხვევების უმრავლესობაში ქსეროქსის აპარატი იყო გაუმართავი.

უბანზე შევიდა და იარაღის მუქარით შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ცარიელ შედეგების შემაჯამებელი ოქმებზე ხელის მოწერა მოსთხოვა<sup>99</sup>. ქართულმა ოცნებამ და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა ამ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული შედეგები გააპროტესტეს, რასაც უმრავლესობა შემთხვევაში ხმების თავიდან გადათვლა, ხელახალი არჩევნები ან ორივე ერთად მოჰყვა (იხილეთ „არჩევნების დღის შემდეგ განვითარებული მოვლენები“). ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის ცნობილი არ არის ხაშურში ხმების დათვლის პროცესის ჩაშლასთან დაკავშირებული გამოძიების შედეგად მოხდა თუ არა ამ საქმეზე დაკავებები ან ამ ქმედებების ჩამდენებისთვის ბრალის წაყენება.

### C. ხმების შეჯამება

ხმების შეჯამება მთლიანობაში გამჭვირვალედ მიმდინარეობდა თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიებში გარკვეული ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა. მონიტორინგის პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების შეჯამებისას 97-დან 13 შემთხვევაში დამკვირვებლების თქმით მათ პროცესის კარგად დაკვირვების საშუალება არ ჰქონდათ, ხოლო 14 შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიის ოფისი ხმების შეჯამების პროცესისთვის არ იყო ადეკვატური. მთლიანობაში დამკვირვებლებმა მონიტორინგს დაქვემდებარებულ 42 საოლქო საარჩევნო კომისიაში საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების შეჯამების პროცესი 31 შემთხვევაში დადებითად ხოლო 11 შემთხვევაში უარყოფითად შეაფასეს.

97 შემთხვევიდან 11 შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებში მოცემული ციფრები არასწორად იყო დაჯამებული, ხოლო კიდევ 11 შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებში შემოსული ოქმები სწორად ან სრულად არ ყოფილა შევსებული<sup>100</sup>. 14 შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიებმა ციფრები ახალი ოქმის შევსებით შეასწორეს. რამოდენიმე შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები გამოტოვებული ხელმოწერების დასასმელად უკან გააბრუნეს<sup>101</sup>. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა

<sup>99</sup> ქართული ოცნების და ადგილობრივი დამკვირვებლების ინფორმაცია, რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ იქნა დადასტურებული.

<sup>100</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა დააფიქსირა რომ არასრულად შევსებულ შედეგების შემაჯამებელ ოქმებს ბეჭდები ან ხელმოწერები აკლდათ ან ოქმების სამივე ასლები შევსებული არ იყო (რაც კანონით არის მოთხოვნილი).

<sup>101</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლების ანგარიში ცაგერის 45-ე საარჩევნო ოლქიდან.

და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლების ინფორმაციით საოლქო საარჩევნო კომისიებს მთლიანობაში ადეკვატურად ესმოდათ შესაბამისი პროცედურები; თუმცა მათ რვა საოლქო საარჩევნო კომისიაში მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები და ნაკლოვანებები დააფიქსირეს. კანდიდატების ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ხმების შეჯამების პროცესთან დაკავშირებით ოფიციალური საჩივრები ათიდან ერთ შემთხვევაში შეიტანეს (საუბარია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლების მონიტორინგს დაქვემდებარებულ შემთხვევებზე).

*საოლქო საარჩევნო კომისიებს საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების მიღებასთან და მათ შეჯამებასთან დაკავშირებით უფრო ფართო ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ და უფრო დეტალური წერილობითი ინსტრუქციები უნდა მიეწოდოთ.*

ადგილობრივი დამკვირვებლები ისევე როგორც პარტიების წარმომადგენლები ჩვეულებრივ აკვირდებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობას, რაც პროცესის გამჭვირვალებას ზრდიდა. ხუთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიის შენობის შიგნით და გარეთ გარკვეული დაძაბულობა დაფიქსირდა. ზოგჯერ საოლქო საარჩევნო კომისიის შენობის გარეთ არსებული სიტუაცია ზეგავლენას ახდენდა ხმების შეჯამების პროცესზე. თეთრიწყაროში სულ ცოტა ორი საარჩევნო კომისიიდან გამოგზავნილი ბიულეტენების და ოქმების პირდაპირ ცესკოში ესკორტირება გახდა საჭირო რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დიდი რაოდენობით შეკრებილმა ხალხმა მათ შენობაში შესვლის საშუალება არ მისცა.

## **XVI. არჩევნების დღის შემდეგ განვითარებული მოვლენები**

### **A. არჩევნების დღეს შეტანილი საჩივრები და აპელაციები**

ცესკოს მონაცემებით სულ ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო კომისიებში 384 საჩივარი იქნა შეტანილი, ამ საჩივრებით არჩევნების დღეს დაფიქსირებული სავარაუდო დარღვევები, საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი შედეგების შემაჯამებელი ოქმები ან ორივე იყო გასაჩივრებული. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვებით ამ საჩივრების უმრავლესობა (278) ადგილობრივი დამკვირვებლების ან ქართული ოცნების წარმომადგენლების მიერ იქნა შეტანილი. არჩევნების სხვა სუბიექტების, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის,



წარმომადგენლებმა მხოლოდ რამოდენიმე საჩივარი შეიტანეს. გარდა ამისა საარჩევნო კომისიებმა 14 დარღვევაზე საქმეები პროკურატურაში გადააგზავნეს. არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული 106 საჩივრიდან ცხრაში ხმების თავიდან გადათვლა ხოლო 97-ში კონკრეტულ საარჩევნო უბანზე არჩევნების შედეგების გაუქმება იყო მოთხოვნილი; საჩივრების შედეგად საკუთარი გადაწყვეტილებით საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ დადებული შედეგები მხოლოდ ექვსმა საოლქო საარჩევნო კომისიამ გააუქმა. არჩევნების დღეს შეტანილი საჩივრების ნახევარზე მეტი (210) ქალების მიერ იქნა შეტანილი.

16 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ განაცხადა რომ არჩევნების შემდგომ სასამართლოებში 70 სააკელაციო საჩივარი იქნა შეტანილი. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს რომ სასამართლოებმა სულ რვა საჩივარი უარყვეს, რომლებითაც საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კონკრეტული საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები იყო გაპროტესტებული; სასამართლოებმა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მხოლოდ ოთხ შემთხვევაში გააუქმეს. ორ საარჩევნო ოლქში ამან საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ დადებული შედეგების გაუქმება (ხაშურის 35-ე საარჩევნო ოლქის 1, 2-ე, 9-ე და 13-ე საარჩევნო უბნები და თეთრიწყაროს 26-ე საარჩევნო ოლქის 23-ე საარჩევნო უბანი) გამოიწვია, ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში ხმების თავიდან გადათვლის გადაწყვეტილება იქნა მიღებული (საგარეჯოს 11-ე საარჩევნო ოლქის 49-ე საარჩევნო უბანი) და კიდევ ერთ შემთხვევაში სასამართლომ გააუქმა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების გაუქმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება (ახალციხის 37-ე საარჩევნო ოლქის 16-ე საარჩევნო უბანი).

საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო კოდექსში გარკვეული დისციპლინარული ზომებია გათვალისწინებული მათ შორის გაფრთხილება, შენიშვნა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ხელფასის გადახდის ნაწილობრივი ან მთლიანად დაკავება ან შეწყვეტა<sup>102</sup>. მართალია საოლქო საარჩევნო კომისიები ძირითადად შენიშვნებით შემოიფარგლებოდნენ თუმცა დრო და დრო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ხელფასებიდან თანხების გამოქვითვაც ხდებოდა. ცესკოს ინფორმაციით საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების წინააღმდეგ სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით მიმართული 52

<sup>102</sup> ამ მხრივ ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშავა. იხილეთ „ინსტრუქცია საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების/წევრთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების პროცედურებისა და სახდელის შეფარდების შესახებ“: [http://www.cec.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=154&info\\_id=9073](http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=154&info_id=9073).

საქმიდან 3 საჩივრით დისციპლინარული ზომების მაგივრად ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრება იყო მოთხოვნილი; აღნიშნული საჩივრები არ იქნა დაკმაყოფილებული. მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისიებმა სასამართლოებს 2,000 ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმების დასამტკიცებლად 45-ჯერ მიმართეს. აღნიშნული თანხა აღემატება საუბნო თუ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ერთი თვის სამსახურისთვის განკუთვნილ ხელფასს და შესაბამისად ამან შეიძლება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის მსურველებს ამ თანამდებობაზე მუშაობის დაწყება გადააფიქრებინოს<sup>103</sup>.

### ***B. არჩევნების დღის შემდეგ განვითარებული მოვლენები***

არჩევნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მაჟორიტარულ ოლქებში არჩევნების წინასწარი შესაძლო შედეგები გახდა ცნობილი, გარკვეული რაოდენობის საოლქო საარჩევნო ოლქებზე მხარდამჭერთა ჯგუფების მიერ ზეწოლა განხორციელდა. კონკრეტულად ეს წნეხი ქართული ოცნების მხარდამჭერთა მხრიდან მოდიოდა, რომლებიც ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიების შენობების გარეთ საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიკრიბნენ, რაც ხშირად შესაბამის ოლქებში მათი მაჟორიტარი კანდიდატების მოწოდების შედეგად ხდებოდა. ზეწოლა საოლქო საარჩევნო კომისიებზე, რომელშიც კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების მიმართ სიტყვიერი მუქარა შედიოდა, შემდგომი დღეების განმავლობაში გაგრძელდა და პიკს მაშინ მიაღწია როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიებს კონკრეტული საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ დადებულ შედეგებთან დაკავშირებულ (არჩევნების დღეს და არჩევნების შემდეგ შეტანილ) საჩივრებზე გადაწყვეტილებები უნდა მიეღო. მთლიანობაში ეს პროცესი 20 საარჩევნო ოლქს შეეხო, ძირითადად ამ ოლქებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების კანდიდატებს შორის სხვაობა მინიმალური იყო, თუმცა იყო ისეთი ოლქები სადაც წინასწარი მონაცემებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები აშკარად იმარჯვებდნენ.

მას მერე რაც თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიამ რაიონში ზოგიერთ საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული შედეგები სავარაუდოდ ზეწოლის შედეგად გააუქმა, ხოლო თერჯოლაში საოლქო საარჩევნო კომისიის ოფისზე ფიზიკური შეტევების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, 3 ოქტომბერს ცესკოს თავმჯდომარემ ბრიფინგი გამართა და პრეს-რელიზი გაავრცელა, რომელშიც მან „საარჩევნო სუბიექტებს და მათ მხარდამჭერებს საარჩევნო ადმინისტრაციას კანონით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებაში ხელის შეშლისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა, რათა საბოლოო შედეგების მომზადება

103

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ხელფასები თვეში 225 ლარიდან 312 ლარამდე მერყეობს.

გარანტირებული ყოფილიყო<sup>104</sup>.“ გარდა ამისა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ პოლიტიკურ ძალებს სასამართლოებზე ზეწოლის განხორციელებისგან თავის შეკავებისკენ და მოსამართლეებთან კომუნიკაციისთვის დადგენილი პროცედურების დაცვისკენ მოუწოდა<sup>105</sup>. 4 ოქტომბერს ქართული ოცნების ლიდერმა ბატონმა ივანიშვილმა განცხადება გაავრცელა რომელშიც ქართული ოცნების მხარდამჭერებს საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებთან შეკრებისგან თავის შეკავებისკენ და სასამართლოებისთვის და საარჩევნო კომისიებისთვის არსებული დავების გადაწყვეტის საშუალების მიცემისკენ მოუწოდა<sup>106</sup>. მომიტინგეები მთლიანობაში დაემორჩილნენ ამ მოწოდებებს. თუმცა ზუგდიდში, სადაც წინასწარი მონაცემებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი მაქორიტარულ არჩევნებს იგებდა, ქართული ოცნების მხარდამჭერთა დემონსტრაციები და საოლქო საარჩევნო კომისიაზე არჩევნების შედეგების გაბათილების მიზნით განხორციელებული ზეწოლის ფაქტები შემდეგი დღის განმავლობაშიც გაგრძელდა.

10 ოქტომბერს სასამართლოების და საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების გაუქმების შედეგად ცესკომ სამ საარჩევნო ოლქში განმეორებითი კენჭისყრა დანიშნა, ეს ის ოლქები იყო სადაც განსხვავება ორი მთავარი კანდიდატისთვის მიცემული ხმების რაოდენობაში გაუქმებულ საარჩევნო უბნებზე დარეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობაზე ნაკლები იყო<sup>107</sup>. სამივე ოლქში ბრძოლა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების კანდიდატებს შორის მიმდინარეობდა.

<sup>104</sup> ცესკოს თავმჯდომარის 3 ოქტომბრის ბრიფინგი. განცხადებაში ჩამოთვლილი იყო 18 საარჩევნო ოლქი სადაც საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობისთვის ხელის შეშლას ჰქონდა ადგილი. 4 და 5 ოქტომბერს ჩატარებულ ბრიფინგებზე ცესკომ კიდევ დამატებით რამოდენიმე საარჩევნო ოლქი დაასახელა სადაც იგივე პროცესები მიმდინარეობდა. ცესკომ ასევე წარმოადგინა ბმულები იმ ვიდეო მასალებზე, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში და მათ გარეთ არსებულ მდგომარეობას ასახავდა.

<sup>105</sup> უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის 5 ოქტომბრის განცხადება. 19 ოქტომბერს მან განაცხადა რომ თეთრიწყაროს საოლქო სასამართლოს მოსამართლემ ქართული ოცნების მხარდამჭერის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა, აღნიშნული პიროვნება „მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესების“ დარღვევისთვის 2,000 ლარით დაჯარიმდა.

<sup>106</sup> იხილეთ: [www.civil.ge/eng/article.php?id=25313](http://www.civil.ge/eng/article.php?id=25313).

<sup>107</sup> საოლქო საარჩევნო კომისიებმა კენჭისყრის შედეგები 16 საარჩევნო უბანზე (მათ შორის უცხოეთში მდებარე ერთ უბანზე) გააუქმეს. ხელახალი კენჭისყრა 11 საარჩევნო უბანზე დაინიშნა; დანარჩენ 5 საარჩევნო უბანზე შედეგები უბრალოდ გაბათილებული იქნა რადგან პირველ და მეორე ადგილებზე მყოფ კანდიდატებს შორის სხვაობა იმდენად დიდი იყო რომ განმეორებითი კენჭისყრის ჩატარება კანონით საჭირო აღარ იყო.

ხელახალი არჩევნები 14 ოქტომბერს 11 საარჩევნო უბანზე ჩატარდა<sup>108</sup>. ცესკომ განმეორებითი არჩევნებისთვის სამი საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი გამოცვალა, რადგან ცალკეული წევრების მიმართ არჩევნების გაყალბებაში მონაწილეობის გამო გამოძიება მიმდინარეობდა. ხელახალი არჩევნების წინ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა ხაშურში არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შესახებ განცხადება გაავრცელა და ამის მიზეზად რაიონში მისი ოპონენტის (ქართული ოცნების კანდიდატის) მიერ ამომრჩევლებზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენა დაასახელა<sup>109</sup>.

მართალია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განმეორებით კენჭისყრაზე სისტემატური დაკვირვება არ განუხორციელებია, მაგრამ საერთო შეფასებით აღნიშნული არჩევნები მოწესრიგებულ და მშვიდ ატმოსფეროში, პროცედურების მთლიანობაში დაცვით, ჩატარდა. ხაშურში განმეორებით კენჭისყრას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები თითქმის არ დასწრებიან, იმ დროს როცა ქართული ოცნების წარმომადგენლები და მხარდამჭერები მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების შიგნით და განსაკუთრებით გარეთ საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. მთლიანობაში ცესკოს მონაცემებით განმეორებით კენჭისყრაში ამომრჩეველთა აქტიურობა გაცილებით ნაკლები იყო (32.9 პროცენტი) ვიდრე არჩევნების დროს. შედარებით მეტი აქტიურობა სიღნაღში დაფიქსირდა (72.9 პროცენტი). სამივე ოლქში განმეორებითი კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულებად ქართული ოცნების კანდიდატები გამოცხადდნენ.

### C. შედეგების გამოცხადება

ცესკომ არჩევნების საბოლოო შედეგები 19 ოქტომბერს შეაჯამა (იხილეთ დანართი). ცესკოს მონაცემებით ამომრჩეველთა აქტიურობამ 61.31 პროცენტი შეადგინა. ცესკოს საინფორმაციო პორტალზე როგორც მაჟორიტარული ისე პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების დეტალური შედეგები თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით გამოქვეყნდა, მათ შორის გამოქვეყნებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილი ოქმები.

<sup>108</sup> ერთი საარჩევნო უბანი სიღნაღში (13-ე საარჩევნო ოლქის 5-ე საარჩევნო უბანი); ერთი გორში (32-ე საარჩევნო ოლქის 4-ე საარჩევნო უბანი) და ცხრა საარჩევნო უბანი ხაშურში (35-ე საარჩევნო ოლქის 1, 2-ე, 3-ე, 8-ე, 9-ე, 10-ე, 13-ე, 45-ე და 46-ე უბნები).

<sup>109</sup> განმეორებითი კენჭისყრის წინ კანდიდატურის მოხსნა შეუძლებელია; განმეორებით კენჭისყრაზე აღნიშნული კანდიდატის სახელი ბიულეტენებში მაინც დარჩა.

პარლამენტში თვრამეტი ქალბატონი (პარლამენტის წევრთა 12 პროცენტი) აირჩიეს, რაც წინა პარლამენტთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია, თუმცა ეს შედეგიც შემდგომი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას უსვამს ხაზს რათა საკანონმდებლო ორგანოში გენდერულად დაბალანსებული მდგომარეობა იქნას მიღწეული<sup>110</sup>. 18 ქალბატონიდან 11 პროპორციული სიით ხოლო 7 მაჟორიტარული სისტემით იქნა არჩეული. ახალ პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი რვა კანდიდატი იქნა არჩეული, სამი მათგანი პროპორციული სიით ხოლო ხუთი კი მაჟორიტარული სისტემით იქნა არჩეული. 19 ოქტომბერს ცესკომ ახლადარჩეული პარლამენტის წევრების რეგისტრაცია მოახდინა. ორი დღის შემდეგ 21 ოქტომბერს ახალი პარლამენტის პირველი სხდომა პარლამენტის განთავსების ახალ ადგილას - ქუთაისში გაიმართა.

## XVII. რეკომენდაციები

ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებშია მოცემული, საქართველოში არჩევნების ჩატარების გაუმჯობესების და მათი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან ბოლომდე შესაბამისობაში მოსაყვანად არის გაცემული. აღნიშნული რეკომენდაციები ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებთან (რომლებიც ჯერ კიდევ შესასრულებელია) ერთად უნდა იქნას წაკითხული. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მზად არის დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებაში და ამ და წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაში.

### A. პრიორიტეტული რეკომენდაციები

1. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი კიდევ ერთხელ იმეორებს მის მიერ დიდი ხნის წინ გაჟღერებულ რეკომენდაციას რომლის მიხედვითაც საპარლამენტო არჩევნებისთვის მოგვარებული უნდა იქნას

<sup>110</sup>

მართალია არჩევნების შედეგად პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა მაგრამ მიმდინარე მაჩვენებელი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეუთოს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (23.6 პროცენტი); იხილეთ საპარლამენტაშორისო კავშირის „ქალები პარლამენტში“-ს მონაცემთა ბაზის შეჯერებული მონაცემები: <http://www.ipu.org/wmn-e/world.htm>.

ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არსებულ დიდ განსხვავებებთან დაკავშირებული საკითხი.

2. წინამდებარე და მანამდე მომზადებულ ანგარიშებში წამოჭრილი საკითხების რაოდენობიდან გამომდინარე განხილული უნდა იქნას არჩევნების საკანონმდებლო სტრუქტურის სრულად გადახედვის შესაძლებლობა. კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ უნდა შედიოდეს არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა რომ ისინი კარგ საარჩევნო პრაქტიკას შეესაბამებინ, შესაძლებელია გარკვეული ტექნიკური და საპროცედურო ელემენტების გაუმჯობესება საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომელთა ჩატარება 2013 წლის ოქტომბერშია მოსალოდნელი.
3. სასურველია რომ სამოქალაქო რეესტრმა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიასთან და სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიოს ყოვლისმომცველი, ერთიანი და დროულად განახლებადი მისამართების სისტემის შესამუშავებლად. გარდა ამისა კარგი იქნება შემუშავდეს საცხოვრებელი ადგილის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების და უწყებებს შორის სამოქალაქო სტატუსის ცვლილებებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულად გაცვლის უფრო ეფექტური მექანიზმები.
4. სასურველია რომ თავდაცვის სამინისტროს და მას დაქვემდებარებული საწარმოების სამოქალაქო თანამშრომლებმა და სამხედრო პერსონალმა, რომლებიც კონკრეტულ ყაზარმაზე ან ბაზაზე არ არიან მიმაგრებული, ხმა მისცენ მათი რეგისტრაციის ადგილზე არსებულ ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე. ასევე შესაძლებელია კვლავ იქნას განხილული საქართველოში მყოფი ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურის მიერ მათი რეგისტრაციის ადგილზე არსებულ ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის შესაძლებლობა.
5. გამოვლენილი ნაკლოვანებებიდან გამომდინარე სასურველია პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ შესაბამის საკანონმდებლო ბაზაში არსებითი ცვლილებების შეტანა. სასურველია ამ ცვლილებების შედგენისას დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარება, ასევე კარგი იქნება თუ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს დროული და ყოვლისმომცველი ტრენინგები ჩაუტარდებათ მანამ სანამ შეცვლილი კანონის აღსრულება მოხდება.
6. არათანმიმდევრული და თვითნებური პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად სასურველია რომ საკანონმდებლო ბაზაში ნათლად იყოს განსაზღვრული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების მასშტაბები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კანონის სავარაუდო დარღვევების (მათ შორის უკანონო შემოწირულობების) მოკვლევის კრიტერიუმები და მეთოდოლოგია, ასევე

სასურველია რომ კანონით დარეგულირდეს სხვა სახელმწიფო თუ საჯარო ორგანოებთან ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა.

7. შესაძლებელია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის იურიდიული უფლებამოსილების მინიჭება, რომლითაც ის მედია საშუალებების მიერ თანაბარი წვდომის და სამართლიანი მოპყრობის პრინციპების დარღვევის შემთხვევაში სანქციების დაწესებას შეძლებს, აღნიშნული გადაწყვეტილებები კომისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის საფუძველზე უნდა იყოს მიღებული რითაც საჭიროების შემთხვევაში სწრაფი ზომების გატარება იქნება შესაძლებელი.

## **B. სხვა რეკომენდაციები**

### **საკანონმდებლო სტრუქტურა**

8. რეკომენდირებულია საარჩევნო კოდექსიდან იმ დებულებების ამოღება, რომლებსაც შეუძლიათ იმ არჩეული კანდიდატების თანამდებობაზე დამტკიცებისთვის ხელის შეშლა, რომლებმაც ხმების აუცილებელი რაოდენობა მიიღეს.
9. სისხლის სამართლის კოდექსში და საარჩევნო კოდექსში ამომრჩევლების მოსყიდვასთან დაკავშირებული დებულებები გადახედილი და ერთმანეთთან ჰარმონიზირებული უნდა იქნას.

### **საარჩევნო ადმინისტრაცია**

10. სპეციალურ უბნებზე მიცემული ხმების დათვლა და აღრიცხვა (თუ ამ უბნებზე ხმას 50 ამომრჩეველზე მეტი აძლევს) ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულ ხმებთან ერთად დათვლის მაგივრად ცალკე უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა სასურველია რომ ჩვეულებრივი და სპეციალური უბნების ერთმანეთთან მიბმისას რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობასთან დაკავშირებით გარკვეული გონივრული ლიმიტები იქნას დაწესებული.
11. თუ გადაწყდება ბიულეტენებზე ხელმოწერის და ბეჭდის დასმის დებულების დატოვება მაშინ ხელმოწერის და ბეჭდის დასმის პროცედურა ამომრჩევლისთვის ბიულეტენის გადაცემისას არ უნდა მოხდეს.
12. საჭიროა საარჩევნო კომისიის წევრების შემდგომი გადამზადება, ამ პროცესში ხაზგასმული უნდა იყოს პროცედურების გამოყენებისას თანმიმდევრულობის პრინციპის დაცვის აუცილებლობა, განსაკუთრებული ყურადღება შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსებას უნდა დაეთმოს.

13. საოლქო საარჩევნო კომისიებს საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების მიღებასთან და მათ შეჯამებასთან დაკავშირებით უფრო ფართო ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ და უფრო დეტალური წერილობითი ინსტრუქციები უნდა მიეწოდოთ.

### ამომრჩევლების რეგისტრაცია

14. სასურველია რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მოახდინოს იმ დევნილთა ბარათების განახლება და შეცვლა, რომლებშიც მიმდინარე დროებითი მისამართი არ არის მითითებული, რათა მოხდეს ამ მოქალაქეების საარჩევნო სიებში შეყვანა და მათ მომავალ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცეთ.
15. სასურველია რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ცესკოსთან ერთად საზღვარგარეთ განლაგებულ საკონსულოების მეშვეობით არჩევნებზე რეგისტრაციის შესახებ დროული და ამომწურავი ინფორმაცია გაავრცელონ, მათ შორის ამ ინფორმაციის შესაბამის ვებსაიტებზე განთავსების გზით, რომელშიც მოცემული იქნება რეგისტრაციის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი. მთლიანობაში სასურველია უცხოეთში საუბნო საარჩევნო კომისიების და საარჩევნო უბნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საბოლოო ვადების გადახედვა რათა უზრუნველყოფილი იყოს ის რომ ამომრჩევლებს საკმარისი დრო მიეცეთ რეგისტრაციის გასავლელად.
16. იმისათვის რომ ციხეებში და წინასწარი დაკავების დაწესებულებებში მოთავსებული ყველა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის უფლების გამოყენება იქნას უზრუნველყოფილი ამგვარ დაწესებულებებში ამომრჩეველთა სიების შედგენაზე პასუხისმგებელმა პირებმა ყველა იქ მყოფი ამომრჩევლის მიერ შესაბამისი პირადობის მოწმობის ქონა უნდა უზრუნველყონ.

### წინასაარჩევნო კამპანიის გარემო

17. პარტიასა და სახელმწიფოს შორის განცალკევება შესაბამისად უნდა იქნას უზრუნველყოფილი როგორც კანონში ისე პრაქტიკაში. როგორც ეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის წინა ანგარიშებშია აღნიშნული სასურველია საკანონმდებლო სტრუქტურის გადახედვა რათა ამოღებული იქნას ის დებულებები, რომლებიც საჯარო მოხელეებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში მაშინ როდესაც ისინი საკუთარ ოფიციალურ მოვალეობებს ასრულებენ, ასევე კანონმდებლობიდან ამოღებული უნდა იქნას ის დებულებები რომლებიც თანაბარი გამოყენების პირობით სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი შენობების გამოყენების უფლებას იძლევიან, რადგან ამგვარი თანაბრად გამოყენების უფლება სწრაფად შეიძლება იქნას



დარღვეული რადგან ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ პარტიებს უფრო ადვილი წვდომა აქვთ ამგვარ რესურსებზე.

### წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

18. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალების კიდეც უფრო გასაზრდელად სასურველია რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ ანგარიშების და მის მიერ ამ ანგარიშების შესწავლის შედეგების და დასკვნების დროული გამოქვეყნება დაეკისროს.
19. სასურველია რომ კანონში ჩამოთვლილი იყოს დარღვევების და შესაბამისი სანქციების ამომწურავი სია, აღნიშნული სანქციები პროპორციული, ეფექტური და პრევენციული უნდა იყოს. სასურველია რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სანქციები თანმიმდევრულად გამოიყენოს, მათ შორის იმ პარტიებისთვის გაფრთხილების მიცემით, რომლებიც უკანონო შემოწირულობებს იღებენ და ამ შემოწირულობების სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვით მანამ სანამ შემდგომი სანქციების დაკისრება მოხდება.
20. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს „საარჩევნო მიზნების მქონე პირის“ სტატუსის კერძო თუ იურიდიული პირების მიმართ ოფიციალური გადაწყვეტილების სახით გამოყენება, მან დროულად უნდა აცნობოს როგორც პირს ისე საარჩევნო სუბიექტს, რომელთანაც ეს პირი ასოცირდება, ამ სტატუსის და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ.

### მედია

21. სასურველია ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ფასების შეზღუდვის და მათი ჩვეულებრივი კომერციული რეკლამების ფასებთან გათანაბრების შესაძლებლობის განხილვა.
22. პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სასურველია Must Carry-ის დებულებების მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანის შესაძლებლობის განხილვა, ამ შემთხვევაში აღნიშნული დებულება მხოლოდ საარჩევნო კამპანიაზე მიზმული არ უნდა იყოს. ამ დებულებებით ასევე უნდა იყოს განსაზღვრული ის თუ ვინ დაფარავს საკაბელო ტელევიზიებში ტელეარხების შეყვანის ხარჯებს.
23. სასურველია აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად ჩამოყალიბების დასრულების შესაძლებლობის განხილვა.

## საჩივრები და აპელაციები

24. საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების დღეს მიღებული გარკვეული გადაწყვეტილებების და გადადგმული ნაბიჯების საოლქო საარჩევნო კომისიებში ან სასამართლოებში გასაჩივრების შესაძლებლობა ამოღებული უნდა იქნას საარჩევნო კოდექსიდან იმისთვის რათა საჩივრების ეფექტურად განხილვა ბოლომდე იყოს უზრუნველყოფილი.
25. სასურველია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების პრიორიტეტული წესით დასრულება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული პროცედურების ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობაში მოყვანა რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება.

## არჩევნების დღე/ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

26. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა ორგანიზაციებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა უნდა უზრუნველყონ საარჩევნო უბნებზე მყოფი მათი წარმომადგენლების შესაბამისად მომზადება, რათა მათ დაკვირვების პროცესში დაიცვან მიუკერძოებლობა და ასევე მოხდეს იმ დებულებების პატივისცემის უზრუნველყოფა, რომლებიც დამკვირვებლების მიერ ხმის მიცემის და ხმების დათვლის პროცესებში ჩარევას კრძალავენ და დაკვირვების პროცესში მიუკერძოებლობის შენარჩუნებას გულისხმობენ.

## დანართი: არჩევნების საბოლოო შედეგები

საბოლოო მონაცემები	
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	3,613,851
არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა	2,215,661
ამომრჩეველთა აქტიურობა	61.31%
გაბათილებული ბიულეტენები	62,874 or 2.83%

ნომერი ბიულეტენზე	პარტიის/საარჩევნო ბლოკის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა (პროპორციული სისტემით)	პროცენტული მაჩვენებელი (პროპორციული სისტემით)	მიღებული მანდატების რაოდენობა		
				პროპ.	მაჟ.	სულ
1	კახა კუკავა - „თავისუფალი საქართველო“	5,865	0.27	0	0	0
4	ეროვნულ- დემოკრატიული პარტია	3,023	0.14	0	0	0
5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს	867,432	40.34	33	32	65
9	სამართლიანი საქართველოსთვის	4,073	0.19	0	0	0
10	გიორგი თარგამაძე - ქრისტიან- დემოკრატიული გაერთიანება	43,805	2.04	0	0	0
17	სახალხო მოძრაობა	546	0.03	0	0	0

19	თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა	1,013	0.05	0	0	0
23	ჯონდი ბალათურია - ქართული დასი	2,324	0.11	0	0	0
24	პოლიტიკური გაერთიანება ახალი მემარჯვენეები	9,255	0.43	0	0	0
26	სახალხო პარტია	527	0.02	0	0	0
30	მერაბ კოსტავას საზოგადოება	997	0.05	0	0	0
35	მომავალი საქართველო	701	0.03	0	0	0
36	საქართველოს მშრომელთა საბჭო	581	0.03	0	0	0
38	შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია	26,621	1.24	0	0	0
40	საქართველოს სპორტსმენთა კავშირი	1,572	0.07	0	0	0
41	ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება	1,181,862	54.97	44	41	85

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 19 ოქტომბერს  
გამოცხადებული ოფიციალური მონაცემები

## ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ის ძირითადი ინსტიტუტია, რომელიც ეუთოს წევრ სახელმწიფოებს „ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფაში, კანონის უზენაესობის დაცვაში, დემოკრატიის და (...) პრინციპების მხარდაჭერაში, დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში, გაძლიერებაში და დაცვაში ისევე როგორც საზოგადოებაში ტოლერანტულობის ხელშეწყობაში“ ეხმარება (1992 წლის ჰელსინკის სამიტის დოკუმენტი). მას ასევე „ეუთოს ადამიანურ განზომილებას“ უწოდებენ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთში) არის განგალებული, 1990 წელს პარიზის სამიტზე „თავისუფალი არჩევნების ოფისის“ სახელწოდებით იქნა შექმნილი, მან ფუნქციონირება 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ ოფისის სახელწოდება შეიცვალა, რათა მასში ასახული ყოფილიყო მისი გაფართოებული მანდატი, რომელშიც ადამიანის უფლებების და დემოკრატიზაციის საკითხებიც შედიოდა. დღესდღეისობით ოფისში 130 ადამიანი მუშაობს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი **არჩევნებზე დაკვირვების** სფეროში ევროპაში წამყვანი დაწესებულებაა. ყოველწლიურად ის ახდენს ათასობით დამკვირვებლების სხვადასხვა ქვეყანაში განლაგების კოორდინირებას და ორგანიზებას, რათა შეფასდეს თუ რამდენად შეესაბამება ეუთოში შემავალ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნები ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო სტანდარტებს და ეროვნულ კანონმდებლობას. მისი უნიკალური მეთოდოლოგია მთლიანი საარჩევნო პროცესის სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. თავისი პროექტების მეშვეობით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს საკუთარი საარჩევნო სტრუქტურების გაუმჯობესებაში ეხმარება.

ოფისის **დემოკრატიზაციის** საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა შემდეგ სფეროებს მოიცავს: კანონის უზენაესობა, საკანონმდებლო მხარდაჭერა, დემოკრატიული მმართველობა, მიგრაცია და გადაადგილების თავისუფლება და გენდერული თანასწორობა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის მიზნობრივ დახმარებაზე ორიენტირებულ პროგრამას ახორციელებს, რომელთა მიზანია დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ასევე დახმარებას უწევს ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებით მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც ეუთოს ადამიანური განზომილების წინაშე აღებულ ვალდებულებებს შეესაბამება. ამის მიღწევა სხვადასხვა პარტნიორებთან მუშაობით ხდება, ამ მუშაობაში შედის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა, შესაძლებლობების შექმნა და თემატურ სფეროებში გამოცდილების გაზიერება, ეს სფეროებია: ადამიანის უფლებების დაცვა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული განათლება და ტრენინგი, ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი და ანგარიშგება და ქალთა ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება.

**ტოლერანტულობის** და **არადისკრიმინაციის** მხრივ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს დახმარებას უწევს მათ მიერ სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტობის და არატოლერანტულობის სხვა ფორმებზე რეაგირების გაძლიერების კუთხით. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქმიანობა, რომელიც ტოლერანტულობას და არადისკრიმინაციას ეხება შემდეგ სფეროებზე ფოკუსირდება: კანონმდებლობა, სამართალდამცავთა ტრენინგი, სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებზე და

ინციდენტებზე რეაგირების მონიტორინგი, ანგარიშგება და შემდგომი ნაბიჯები; გარდა ამისა ფოკუსირება ხდება საგანმანათლებლო საქმიანობებზე, რომელთა მიზანია ტოლერანტობის, პატივისცემის და ურთიერთპატივისცემის ხელშეწყობა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს რჩევებს აძლევს მათ მიერ **ბოშების** მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ოფისი ხელს უწყობს ბოშების თემებში შესაძლებლობების და ბიზნეს კონტაქტების შექმნას და მხარს უჭერს ბოშების მიერ პოლიტიკის მწარმოებელი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა საქმიანობა ეუთოს წევრ ქვეყნებთან, ეუთოს ინსტიტუტებთან და ადგილზე განხორციელებულ პროგრამებთან ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციის და თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ვებგვერდზე ([www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)).